



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2020-2024

**ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი (LAG)
განახლებულია 2019 წლის აგვისტო-სექტემბერში**



The European Union
for Georgia
ENPARD

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მასში წარმოდგენილი მოსაზრებებები ეკუთვნის მხოლოდ „ლაგოდეხის განვითარების ჯგუფს“ და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ხედვებს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა „ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის“ (ENPARD) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის - „სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია CARE.

Table of Contents



The European Union
for Georgia
ENPARD

შესავალი	2
შესავალი	6
LEADER მიდგომა.....	8
ადგილობრივი განვითარების ჯგუფი	10
მეთოდოლოგია	11
თავი I – ზოგადი მიმოხილვა	14
გეოგრაფიული მდებარეობა	14
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები	15
კლიმატი	16
ბუნებრივი რესურსები	16
ინფრასტრუქტურა	17
გენდერი მუნიციპალიტეტში	17
სამუშაო ძალა და დასაქმება	17
თავი II - ძირითადი ადგილობრივი გამოწვევები	19
მუნიციპალიტეტის საჭიროებები და პრიორიტეტები	19
პირველი თემატური ჯგუფი - ცხოვრების სოციალურ პირობები	19
მეორე თემატური ჯგუფი _ სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რგოლები	23
მესამე თემატური ჯგუფი _ ტურიზმის განვითარება	25
მეოთხე თემატური ჯგუფი _ გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების რისკისა და ზიანის შემცირება	27
მეხუთე თემატური ჯგუფი _ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება	28
პრობლემების კლასიფიკაცია პრიორიტეტების მიხედვით	30
თავი III - მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხები	32
ტურიზმის განვითარების საკვანძო ასპექტები	33
სოფლის მეურნეობის განვითარების საკვანძო ასპექტები	38
გარემოს დაცვის საკვანძო ასპექტები	39
თავი IV - ადგილობრივი განვითარების ხედვა	42
ძირითად საჭიროებებსა და პრიორიტეტებთან დაკავშირებული ამოცანები	42

ამოცანა 1 - სოციალური პირობების გაუმჯობესება	42
ამოცანა 2 - სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რგოლების განვითარება	43
ამოცანა 3 - ტურიზმის განვითარება	44
ამოცანა 4 - გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების რისკისა და ზიანის შემცირება	44
ამოცანა 5 - მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება	44
ამოცანა 6 - LEADER მიდგომის ხელშეწყობა და LAG-ის როლის გაძლიერება	45
თავი V - სამოქმედო გეგმა	46
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ჩარჩო	47
სარეკომენდაციო ინდიკატორები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია იმ ამოცანებისა და სტრატეგიული მიმართულებების საზომად, რომლებიც სხვადასხვა თემატურ ჯგუფში შემავალი პრობლემების მოსაგვარებლად იგეგმება	67
სარეკომენდაციო ინდიკატორები პირველი ამოცანისთვის _ ცხოვრების სოციალური პირობები	67
სარეკომენდაციო ინდიკატორები მეორე ამოცანისთვის _ სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რგოლები	68
სარეკომენდაციო ინდიკატორები მესამე ამოცანისთვის _ ტურიზმის განვითარება	68
სარეკომენდაციო ინდიკატორები მეოთხე ამოცანისთვის _ გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების რისკისა და ზიანის შემცირება	69
სარეკომენდაციო ინდიკატორები მეხუთე ამოცანისთვის _ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება	69
სარეკომენდაციო ინდიკატორები მეექვსეხუთე ამოცანისთვის _ LEADER მიდგომის ხელშეწყობა და LAG-ის როლის გაძლიერება	70
თავი VI - განხორციელების მექანიზმები	72
LAG-ის შიდა სტრუქტურა: თანამშრომლები, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები და ტექნიკური გუნდის შემადგენლობა	77
წევრობა	78
LAG-ის მმართველობითი სტრუქტურა	79
გენერალური ასამბლეა	80
მმართველი საბჭო	80
პრეზიდენტი	80
ვიცე-პრეზიდენტი	81
ტექნიკური კოორდინატორები	81
ადგილობრივ დონეზე სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა	81

თავი VII –საპროექტო განაცხადების შერჩევის პროცედურები	84
დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურები.....	90
განაცხადების წარდგენის ვადა	90
დანართი #1	91
დანართი #2	95
2017-2018 წლებში გამოვლენილი პრიორიტეტული სფეროების „სვოტ“ ანალიზი	95
გარემო.....	95
პრობლემის გადაჭრის გზები.....	96
ახალგაზრდობა / სოციალური / გენდერული /მონყვლადი ჯგუფები.....	98
პრობლემის გადაჭრის გზები.....	100
სოფლის მეურნეობის სექტორი.....	101
პრობლემების გადაჭრის გზები	102
ინფრასტრუქტურა	104
პრობლემების გადაჭრის გზები	106
ტურიზმის სექტორი.....	107
პრობლემების გადაჭრის გზები	108

შესავალი

ლაგოდების მუნიციპალური განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით და აგრეთვე, აღნიშნულ პროცესში ლაგოდების მუნიციპალიტეტის თხუთმეტივე თემის სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, CARE საერთაშორისომ გამოაცხადა ტენდერი შემდეგი სერვისის მოსაწოდებლად: „ მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის და გეგმის შემუშავება“.

საკონსულტაციო დავალება განახორციელა ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრმა (CTC) 2019 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში.

ლაგოდების მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის უკვე არსებული ვერსია მომზადებული იყო პროექტის „სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება საქართველოში“ (PRD) ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბიზნეს სექტორსა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ფართომასშტაბიანი კონსულტაციების საფუძველზე 2017-2018 წლებში. სტრატეგია დაამტკიცებული იყო ლაგოდების განვითარების ჯგუფის მიერ (LAG). „საქართველოში სოფლის განვითარების მოდელის სრულყოფის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც PRD-ის მეორე ფაზას წარმოადგენს, 2017 წლის დეკემბერში, ლაგოდების განვითარების ჯგუფმა წამოიწყო სათემო მობილიზაციის პროცესი, თავდაპირველად განსაზღვრული პრიორიტეტების განახლების მიზნით. დოკუმენტი განახლდა 2017 წლის დეკემბერსა და 2018 წლის იანვარში თემებთან შეხვედრების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

„სოფლის განვითარების მოდელის სრულყოფა საქართველოში“ ხორციელდება ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის (ENPARD) მხარდაჭერით. ის წარმოადგენს სოფლის განვითარების საპილოტე პროექტის „სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება საქართველოში“ გაგრძელებას. იგი ეფუძნება ევროკავშირის მიერ შექმნილ LEADER მიდგომას, რომელიც სოფლის მოსახლეობას თავიანთი თემების განვითარებაში ადგილობრივი პარტნიორების ჩართვის ინსტრუმენტს სთავაზობს.

პროექტის ზოგადი მიზანია სიღარიბის შემცირების, დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოს სოფლებში. პროექტის კონკრეტული ამოცანა კი ლაგოდების მუნიციპალიტეტში მდგრადი, სოციალურად დაუცველ ფენაზე ორიენტირებული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნაა.

ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების საპასუხოდ და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების გასაძლიერებლად CARE საერთაშორისომ მხრი დაუჭირა განახლებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენას, რომელიც მოიცავს 2020 – 2024 წლებს და გარემოს მდგრადობისა და გენდერული საკითხების გათვალისწინებით არის მომზადებული. ქვემოთ წარმოდგენილი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა LEADER მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და შემუშავდა ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა ადგილობრივ მოსახლეობასთან (15 თემში) გამართული კონსულტაციების საფუძველზე და მასში გათვალისწინებულია

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ინტერესები და საჭიროებები, ასევე ადგილობრივი რესურსები, ტერიტორიული ერთეულის კონკურენტული უპირატესობების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

LEADER მიდგომა

სოფლის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია LEADER მიდგომის გამოყენება. LEADER (ფრანგულენოვანი აკრონიმი, რომელიც აღნიშნავს კავშირებს სოფლის ეკონომიკის განვითარებისკენ მიმართულ საქმიანობებს შორის) ევროკავშირის სოფლის განვითარების ახალი მიდგომაა. იგი წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე და სოფლის თემებში სოფლის განვითარებისათვის მობილიზებისა და განვითარების მეთოდს. გამოცდილებამ წარმოაჩინა ამ მეთოდის ეფექტურობა სოფლის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების კუთხით, ასევე მისი წვლილი სოფლად არსებული გამოწვევების საპასუხო ზომების მიღებისა და გადაჭრის ახალი გზების გამოძებნის სტიმულირებაში. 1991 წელს ამ მიდგომის ამოქმედებიდან მოყოლებული, Leader მიდგომის სახით ევროკავშირში ადგილობრივ თემებს გაუჩნდათ ინსტრუმენტი, რომელიც აძლევს მათ საკუთარი მომავლის ჩამოყალიბებაში აქტიური წვლილის შეტანის შესაძლებლობას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ Leader მიდგომა ამართლებს საკმაოდ განსხვავებულ ვითარებებში და კონტექსტებში, ამდენად, ხელს უწყობს სოფლის პოლიტიკის განსაზღვრას სხვადასხვა სპეციფიკის მქონე სოფლებში მათი კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, LEADER მიდგომა სოფლის განვითარების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. LEADER მიდგომა ღირებული რესურსია სოფლის პოლიტიკისათვის, ვინაიდან იგი სტიმულირებას უწევს ადგილობრივ დონეზე მხარეთა მონაწილეობას ადგილობრივი მდგრადი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

LEADER მიდგომა ითვალისწინებს სოფლების წახალისებას ახალი გზების მოსაძიებლად, რაც მათ დაეხმარება კონკურენტუნარიანობის მიღწევაში ან შენარჩუნებაში, საკუთარი ქონების მაქსიმალურად გამოყენებაში და ისეთი გამოწვევების დაძლევაში, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება, მომსახურების არასათანადო დონე, ან დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე. მისი მიზანია სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებზე რეაგირების მეშვეობით. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ახლებურ ფორმებს და ახდენს ადგილობრივი რესურსის მობილიზებას, იმიათვის, რომ მოხდეს მრავალფეროვანი ღონისძიებების წახალისება, როგორიცაა კულტურული ღონისძიებები, ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება, სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფლის ტურიზმი, და ა.შ.

LEADER გულისხმობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობას, რომლებიც განსაზღვრავენ მიზნებს და ადგილობრივ დონეზე ახდენენ მომსახურების გაწევას. ტერიტორიაზე დამყარებულმა და ვერტიკალურმა (ქვევიდან ზევით) მიდგომამ განაპირობა ამ მეთოდის პოპულარობა სოფლის განვითარების სფეროში. მისი პოპულარობის გამო, აღნიშნული მიდგომა ევროკავშირის ფარგლებს გარეთაც აქტიურად გამოიყენება.

LEADER-ის ადგილობრივი განვითარების მიდგომის პრინციპებია:

- ტერიტორიაზე დამყარებული: ხორციელდება მცირე, ერთგვაროვანი, სოციალურად დაკავშირებულ ტერიტორიაზე;

- ვერტიკალური (ქვემოდან ზევით): ადგილობრივ დონეზე მხარეები ქმნიან სტრატეგიას და განსაზღვრავენ საქმიანობებს;
- სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა: LAG-ები არიან დაბალანსებული ჯგუფები, რომელშიც მონაწილეობენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, რაც იძლევა ჯგუფის ცოდნის/კვალიფიკაციისა და რესურსის მობილიზების შესაძლებლობას;
- ინოვაცია: LAG-ებს გააჩნიათ ახალი იდეები და მეთოდების დანერგვის შესაძლებლობები;
- ინტეგრირებული და მრავალსექტორული საქმიანობები: ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი ღონისძიებები, განსხვავებით სექტორული მიდგომისაგან;
- ქსელური მუშაობა: შესაძლებელი ხდება ცოდნის გაცვლა-გაზიარება ადამიანებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს შორის, ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპის დონეებზე;
- თანამშრომლობა: LEADER-ის ჯგუფებს შორის, მაგალითად, გამოცდილების გაზიარებისათვის, ურთიერთშემავსებელი ეფექტის მისაღწევად ან ეფექტური შედეგის მისაღწევად.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) -- ესაა აქტიური მოქალაქეებისაგან შემდგარი ადგილობრივი სამოქალაქო პლატფორმა სოფლად ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. LAG-ში თავმოყრილია ადამიანური და ფინანსური რესურსი ყველა სექტორიდან. ამას გარდა, იგი მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს და აძლიერებს დიალოგს და თანამშრომლობას სხვადასხვა მხარეებს შორის. ამის გამო, LAG-ი წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას LEADER მიდგომის განხორციელების მთლიანი პროცესის განმავლობაში.

ლაგოდეხის LAG-ი შედგება 130 წევრისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ საჯარო სექტორს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო სექტორს. LAG-ი ფუნქციონირებს, როგორც ასოციაცია, რომელიც იმართება საერთო კრების (გენერალური ასამბლეის), დემოკრატიულად არჩეული მმართველი საბჭოს მიერ, და LAG-ის წესდებით განსაზღვრული მარეგულირებელი ჩარჩოს საფუძველზე.

მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი¹ წარმოადგენს სხვადასხვა ანალიტიკური საშუალებების მეშვეობით, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, რომ მაქსიმალურად ზუსტად მომხდარიყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კონტექსტის ანალიზი. ასევე, მაქსიმალურად ზუსტად და სრულად განხორციელდა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც სხვადასხვა ვადიან პერსპექტივაში გავლენას მოახდენენ მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ განვითარებაზე.

კერძოდ, სათემო შეხვედრებისა და ლაგ-ის წარმომადგენლებთან გამართული ფოკუს-ჯგუფებისა და სემინარების დროს ეფექტურად იქნა გამოყენებული SWOT და PEST ანალიზის ინსტრუმენტები. ასევე, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების უკვე არსებული გეგმისა და დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზით მიღებული გამოცდილება.

თითოეულ თემში ჩატარებულმა ნახევრად სტრუქტურირებულმა, ჩაღრმავებულმა ჯგუფურმა ინტერვიუებმა საშუალება მოგვცა, რომ არა მხოლოდ ძალიან ღრმად შეგვესწავლა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ შეგვექმნა ნათელი წარმოდგენა ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებაში არსებული აზრთა მრავალფეროვნების შესახებ. ფოკუს-ჯგუფის დროს წარმოქმნილი დისკუსიების შედეგად უკეთ გამოვლინდა თემის წარმომადგენლების დამოკიდებულება გარკვეული სოციალური პრობლემებისადმი, მათი ფსიქოლოგიური განწყობები და ემოციური შეფასებები.

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში მთავარი კომპონენტები იქნება ამოცანები, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები და ქვეღონისძიებები. თითოეული ღონისძიებისთვის მითითებულია პასუხისმგებელი ორგანო/ორგანიზაცია და შესრულების სავარაუდო ვადა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეების მოსაზრება და მოთხოვნა იყო, რომ ინდიკატორები საერთოდ არ შეგვეტანა გეგმაში. ხოლო, თავად გეგმას სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონოდა, რათა მერიის და საკრებულოს მხრიდან ამ გეგმის მიმართ მაღალი მიმღეობა ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, წინამდებარე დოკუმენტს ახლავს ინდიკატორების ქვეთავი, სადაც თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის გაწერილია სარეკომენდაციო ხასიათის ინდიკატორები.

ამოცანები რეალურად იმ მოთხოვნებისა და მოლოდინების დეკლარაციაა, რომლებიც მოცემულ დროს აქვთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მუნიციპალიტეტის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოებისა და პირების მიმართ.

სტრატეგიული მიმართულება თავისი არსითა და ფორმულირებით უფრო კონკრეტული და დეტალურია, ვიდრე ამოცანა.

თითოეულ ამოცანას, როგორც წესი რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება ახლავს თან. სტრატეგიული მიმართულება მიზნ-შედეგობრივი კავშირით და ლოგიკური

¹ 2017-2018 წლებში შედგენილი სტრატეგიის მეთოდოლოგია იხილეთ დანართი #1

ჯაჭვით არის დაკავშირებული ამოცანასთან. შესაბამისად, იმისათვის, რომ ლაგოდების ლაგ-მა დასახული ამოცანები შეასრულოს, აუცილებელია სტრატეგიული მიმართულებების მიღწევა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის ეტაპები

1. პირველ ეტაპზე, იმისათვის რათა შესამუშავებელი სტრატეგია შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ და რეგიონალურ სტრატეგიებთან, მოხდა ლაგოდების მუნიციპალიტეტის არსებული სტრატეგიისა და ყველა იმ დოკუმენტის გაცნობა, რომელიც გამოყენებული იქნა სტრატეგიის შემუშავებაში, კერძოდ:

- კახეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისათვის;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლებისათვის;
- ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის;
- სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წლებისათვის;
- საქართველოს ეროვნული ბიო-მრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2020 წლებისათვის;

ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრის შემდეგ შესასწავლი დოკუმენტების სიას დაემატა:

- 2019 – 2021 წლებისადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა „ერთად ლაგოდებისთვის“;
- ლაგოდების მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი 2019-2022 წლებისათვის;
- 2020 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც თანადაფინანსებული იქნება რეგიონალური განვითარების ფონდისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიერ;

2. ლაგოდების ლაგ-ის მართვაში ჩართულ წევრებს (14 ადამიანს) ჩაუტარდა ორდღიანი თეორიული ტრენინგი მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესის, ინსტრუმენტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად. აგრეთვე, ტრენინგის ბოლოს განხილულ იქნა თემებში ჩასატარებელი ფოკუს ჯგუფის კითხვები, დაიხვეწა ინტერვიუს სტრუქტურა და შეთანხმდა ლოჯისტიკური და ტექნიკური საკითხების _ 10-11 აგვისტო _ ლაგოდებში.

3. თითოეულ თემში ჩატარდა ერთი ფოკუს ჯგუფი, 10-15 კაციანი შემადგენლობით. ჯგუფებში უზრუნველყოფილი იყო ფართო და მრავალფეროვანი წარმომადგენლობა სატარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების სახით. სათემო შეხვედრები ჩატარდა 8 დღის განმავლობაში 15 თემში 12 – 19 აგვისტომდე პერიოდში;

ფოკუს ჯგუფში შეხვედრები მიზნად ისახავდა სამი ამოცანის შესრულებას:

ა. აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენა და მათი პრიორიტეტიზაცია. კერძოდ, პრობლემების პრიორიტეტიზაცია მოხდა ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით, პირველი: რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის პრობლემა თემისთვის და მეორე: რამდენად გადაუდებელია პრობლემა ანუ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს თუ არა. პრობლემების პრიორიტეტიზაცია მოხდა 1-დან 9-მდე შკალის გამოყენებით, სადაც 1-დან 9-ის მიმართულებით იზრდება პრობლემების როგორც მნიშვნელოვნება, ასევე გადაუდებლობა. შკალა დაყოფილია სამ თანაბარ ნაწილად, შესაბამისად: 1-დან 3-მდე; 4-დან 6-მდე და 7-დან 9-მდე;

ბ. პრიორიტეტული პრობლემების მოგვარებისთვის სხვადასხვა ალტერნატივების ინდენტიფიცირება და

3. შემოთავაზებული ალტერნატივების ანალიზი SWOT და PESTIL (პოლიტიკურ/ეკონომიკურ/საკანონმდებლო/სოციალური/ინფრასტრუქტურული კომპონენტები) ინსტრუმენტების გამოყენებით.

თემებში შეხვედრების ორგანიზება უზრუნველყო ლაგ-ის ორმა წარმომადგენელმა, რომლებმაც გააკეთეს ხალხის მობილიზება 15 თემში;

4. ლაგ-ის წევრებისთვის ჩატარდა ერთ დღიანი სემინარი ფოკუს-ჯგუფებში მიღებული ძირითადი მიგნებების გასაცნობად და შენიშვნების გასაზიარებლად _ 30 აგვისტო;
5. სემინარის შემდეგ ტრენერ/კონსულტანტმა მოახდინა ფოკუს-ჯგუფებზე და სემინარზე მიღებული ინფორმაციის კომპილაცია და შეიმუშავა სტრატეგიული გეგმის ზოგადი მონახაზი;
6. ორ დღიანი სემინარი ლაგოდეხში - ტრენერ/კონსულტანტმა Care-ს და ლაგ-ის წარმომადგენლებს გააცნო სტრატეგიული გეგმის ზოგადი მონახაზი. სამუშაო პროცესში მოხდა სტრატეგიულ მიზნებზე, ამოცანებზე, საქმიანობებსა და ქვესაქმიანობებზე, აგრეთვე შესრულების ვადებზე და პასუხისმგებელ ორგანოებზე/ორგანიზაციებზე შეთანხმება. ასევე მოხდა სარეკომენდაციო ხასიათის ინდიკატორების შემუშავება _ 4-5 სექტემბერი;

თავი I – ზოგადი მიმოხილვა

გეოგრაფიული მდებარეობა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კახეთის რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი მეზობელ ქვეყანას, აზერბაიჯანს, და რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება. მისი ტერიტორიის ფართობი დაახლ. 890, 2 კმ²-ია.

რუკა 1: საქართველოში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მდებარეობა



მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ლაგოდეხი (15 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული და 67 სოფელი). ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა **41,679-ია** (2014 წლის მოსახლეობის აღწერა) და მათი დაახლოებით 85% სოფლად ცხოვრობს. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირია: ქართველი (67,2%), აზერბაიჯანელი (25,6%), ოსი (4,9%), რუსი (1,7%), სომეხი (0,3%).

ცხრილი 2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

#	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	#	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი
1	ქ. ლაგოდეხი		10	კაბალი	კაბალი
2	მაწიმი	მაწიმი			განჯალა
		რაჭისუბანი			უზუნთალა
3	შრომა	შრომა			ყარაჯალა
		კავშირი	11	ფონა	ზემო ფონა
4	ნინიგორი	ნინიგორი			ქვემო ფონა
		გელათი			ზემო ხეჩილი
		განათლება			ქვემო ხეჩილი
		ხიზა			დონა
		ხიზაბავრა	12	გიორგეთი	გიორგეთი
		ზემო გურგენიანი			ვერხვისმინდორი
		ქვემო გურგენიანი			ფიჩხისბოგირი
5	ცოდნისკარი	ცოდნისკარი			ლაფნიანი
		შეერთება			გუჯარეთი
		სვობოდნოე	13	აფენი	აფენი
		წიფლისწყარო			ფოდაანი
		ჩადუნიათი			ბაღდათი
		თელა			ონანური
6	ვარდისუბანი	ვარდისუბანი			ჭაბუკიანი
		საკობო			ზემო ნაშოვარი
		სვიდება			ქვემო ნაშოვარი
7	ჭიაური	ჭიაური			გვიმრიანი
		წითელი გორა	14	არეშფერანი	არეშფერანი
		ჭერეთისკარი			ქეცხიანი
		თამარიანი			ხოშატიანი
8	კართუბანი	კართუბანი			ზემო ბოლქვი
		ბოლოკიანი			ქვემო ბოლქვი
		ნაწისქვილარი	15	ლელიანი	ლელიანი
		ნაინდროვანი			ბეზურიანი
9	ბაისუბანი	ბაისუბანი			ბალოთა
		ზემო მსხალგორი			ქალქვა
		ქვემო მსხალგორი			ნამესრალი
		პატარა გორი			მირსკისეული
					მეორე ლელიანი

ცხრილი 2.1 მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით²

N	ადმინისტრაციული ერთეული	მოსახლეობა
	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	41,678
1	ქალაქი ლაგოდეხი	5,918
2	არეშფერანის თემი	928
3	აფენის თემი	4,651
4	ბაისუბნის თემი	2,281
5	გიორგეთის თემი	992
6	არდისუბნის თემი	2,302
7	კაბლის თემი	9,279
8	კართუბნის თემი	3,059
9	ლელიანის თემი	2,128
10	მაწიმის თემი	686
11	ნინიგორის თემი	2,053
12	ფონის თემი	493
13	შრომის თემი	1,732
14	ცოდნისკარის თემი	2,765
15	ჭიაურის თემი	2,411

კლიმატი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ზომიერი სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება. აქ ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცის. საშუალო წლიური ტემპერატურა 13°C-ია. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 650 მმ-იდან 1080 მმ-მდე. აქაური კლიმატისთვის დამახასიათებელია სეტყვა და გვალვა. მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ადგილი მაღალი ტენიანობით გამოირჩევა. მაღალმთიან ნაწილში ჰავა ასევე ზომიერია, თუმცა ზამთარი და ზაფხული შედარებით ცივია³.

ბუნებრივი რესურსები

მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 44% უკავია სასოფლო-სამეურნეო მიწებს, 46% კი ტყეებს (ამ 46%-ში, სამრეწველო ტყეების ფართობი 15000 ჰა-ს შეადგენს). მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 250 კვ. კმ. დაცულ ტერიტორიებს უკავია.

² Geostat.ge 2014

³ კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ანალიზი, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALA) & USAID (Adaptation to the Climate Changes and Reducing Impact on Local Level, Lagodekhi Municipality Situation Analysis, National Association of Local Authorities of Georgia (NALA) & USAID) <http://nala.ge/uploads/lagodekhi.pdf>

წყლის რესურსები წარმოდგენილია ზედაპირული და გრუნტის წყლებით (მუნიციპალური წყალმომარაგების და სარწყავი წყლის მომარაგებისათვის გამოიყენება ეს წყაროები). მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა ალაზანი.

ინფრასტრუქტურა

საგზაო ტრანსპორტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა. საგზაო ინფრასტრუქტურა მოიცავს საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარამდე მიმავალ მაგისტრალს და შიდასახელმწიფოებრივ გზებს. ადგილობრივი გზების მთლიანი სიგრძის სამოცდაათი პროცენტი რეაბილიტაციას საჭიროებს. მუნიციპალიტეტში ექვსი საერთაშორისო მნიშვნელობის, ექვსი კი ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ხიდია. მათი დიდი უმრავლესობა რეაბილიტაციას საჭიროებს.

საკანალიზაციო სისტემა მხოლოდ ქალაქ ლაგოდეხშია მოწყობილი, იგი ემსახურება ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს და საჭიროებს რეკონსტრუქციას.

ზოგიერთ თემს გაზომომარაგების სისტემაზე წვდომა ჯერ ისევ არ აქვს. მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგების ქსელი განახლებას საჭიროებს.

რაც შეეხება სოციალურ ინფრასტრუქტურას, არ არის საკმარისი რაოდენობის საბავშვო ბაღები, სპორტული მოედნები და ღია სტადიონები.

გენდერი მუნიციპალიტეტში

ერთის მხრივ, ოჯახის მდებრობით და მამრობით წევრებს თითქმის თანაბარი შემოსავალი აქვთ; თუმცა, ფერმერულ მეურნეობაში ჩაბმულია უფრო მეტი თვითდასაქმებული მამაკაცი, ვიდრე ქალი. მეორეს მხრივ, ქალებთან შედარებით უფრო მეტ მამაკაცს მიაჩნია, რომ დასაქმებისა და გარემოს დაცვის პრობლემები აქტუალურია. საზოგადოდ, გენდერული განსხვავება სამოქალაქო ჩართულობის პროცესში საკმაოდ მკვეთრია: ქალებს ნაკლებად აინტერესებთ თავიანთი თემების პრობლემები და ნაკლებად ერთვებიან მათზე რეაგირების პროცესებში; ასევე თვლიან, რომ მათი როლი მამაკაცის როლთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანია. დაბოლოს, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს ჰქონდათ მწირი ინფორმაცია თავიანთი თემის ეკონომიკური განვითარების გეგმის შესახებ.

საშუალო ძალა და დასაქმება

ამჟამად, მუნიციპალიტეტში დასაქმების სტატუსის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით:

1. დროებით ან სეზონურად დასაქმებული - 8%;
2. სოციალური დაცვა - 1.3 %;
3. უმუშევარი, და არ ეძებს სამსახურს - 2 %;
4. თვითდასაქმებული საკუთარ საწარმოში - 4.1%;
5. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები - 4.2 %;

6. უმუშევარი, ეძებს სამუშაოს - 4.7 %;
7. აქვს მუდმივი სამუშაო კერძო სექტორში – 4.9 %;
8. აქვს მუდმივი სამუშაო საჯარო სექტორში - 8.9 %;
9. პენსიონერი - 17.2%;
10. თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობის სექტორში - 51.1 %.

თავი II – ძირითადი ადგილობრივი გამოწვევები⁴

მუნიციპალიტეტის საჭიროებები და პრიორიტეტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებები და პრიორიტეტები განისაზღვრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თხუთმეტივე თემის წარმომადგენლებთან ინტენსიური კონსულტაციების მეშვეობით. წინამდებარე თავში აგრეთვე, მოცემულია LAG-ის წევრებისა და თემების წარმომადგენლების მიერ არსებული პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდირებული ღონისძიებები.

ძირითადი საჭიროებები და პრიორიტეტები, აგრეთვე მათ გადასაჭრელად რეკომენდირებული ღონისძიებები დაჯგუფთა ხუთ თემატურ ჯგუფად.

პირველი თემატური ჯგუფი - ცხოვრების სოციალურ პირობები

პირველ თემატურ ჯგუფთან დაკავშირებული პრობლემები:

- სოციალურ პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის ლაგოდეხის მოსახლეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხარისხიან სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას. ამ ეტაპზე არ ხდება სასმელი წყლით უწყვეტად მომარაგება და ამავე დროს, მიწოდებული სასმელი წყალი, ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მიღებით დაქსელვა მხოლოდ ქალაქ ლაგოდეხში და 5 სოფელშია დასრულებული;
- სასმელ წყალთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემად ითვლება სასმელი წყლის მაღალი ტარიფი;
- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით, მაინც რჩება გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთები, რომლებიც ახალ გზის საფარს და განათებას საჭიროებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით არის მნიშვნელოვნად დაზიანებული, შეუძლებელია ტრანსპორტისა და მოსახლეობის უპრობლემო გადაადგილება საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის, ადმინისტრაციული ცენტრების მიმართულებით.
- განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საგარეულებთან მისასვლელ გზებთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარჩენილია დასახლებული პუნქტები, სადაც გარე განათება არ არის;
- დღემდე დიდწილად გადაუჭრელ პრობლემად რჩება ქუჩების სახელდება და ნუმერაცია, რაც თავის მხრივ იწვევს, ისეთ მნიშვნელოვან სირთულეებს, როგორიც არის მაგ. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების დროული მიწოდების შეფერხება და ტურისტებისთვის ეფექტური მომსახურების გაწევა;

⁴ 2017-2018 წლებში გამოვლენილი ძირითადი გამოწვევებისა და პრობლემების SWOT ანალიზი და ასევე, პრობლემების გადაჭრის გზები იხილეთ დანართ# 2-ში

- მუნიციპალიტეტამდე მისასვლელი სატრანსპორტო სისტემა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. ხოლო, მუნიციპალიტეტის შიდა სატრანსპორტო სისტემა ფაქტიურად არ ფუნქციონირებს, გარდა მუნიციპალიტეტის მიერ დანიშნული ტრანსპორტისა, რომელიც სკოლის მოსწავლეებს ემსახურება;
- მწვავე პრობლემას წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო მომსახურების დაბალი ხელმისაწვდომობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთ თემს საერთოდ არ აქვს ამბულატორია, ხოლო ზოგიერთ ამბულატორიაში სამედიცინო პერსონალის მუშაობის საათები ძალიან მცირეა, რის გამოც მოსახლეობის ნაწილი იძულებულია სამედიცინო მომსახურების გაწევას გარკვეული დროის განმავლობაში ელოდოს;
- ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სანიაღვრე არხების სისტემის გაუმართაობა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოხდა;
- სათემო შეხვედრების დროს გამოვლინდა საფლის სასაფლაოებზე ელემენტარული ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროება;

პირველი თემატური ჯგუფის პრობლემების მოსაგვარებლად გაუღებელი შესაძლო ალტერნატივები

ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტად მიწოდების მიზნის მისაღწევად ლაგ-ის წევრებთან დისკუსიისას, ასევე სათემო შეხვედრების დროს უამრავი განსხვავებული ალტერნატივა იქნა დასახელებული, რომელთაგანაც გამოვყოთ შემდეგს:

- არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ სასმელი წყლის პრობლემა საერთოდ არ იარსებებდა, რომ არა მისი სარწყავად გამოყენება და შესაბამისად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სასმელად განკუთვნილი წყლის მოხმარება არ მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის;
- მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ითხოვს დამატებითი არტეზიული ჭაბურღილების გაკეთებას. თუმცა, არსებობს ექსპერტული მისაზრება, რომ ეს მიდგომა არაეფექტიანია, რადგან გარკვეულ რაოდენობაზე მეტი ჭაბურღილის გაკეთება სხვადასხვა პრობლემების წყარო შეიძლება გახდეს, მაგალითად გამოიწვიოს დაჭაობება და სხვ.;
- ყველაზე ოპტიმალურ გამოსავლად სახელდება დიდი სათავე ბასეინ(ებ)ის/წყალსაცავ(ებ)ის აშენება, რომელიც მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილის უწყვეტ მომარაგებას უზრუნველყოფს; აქვე უნდა აღინიშნოს ე.წ. ქვევითა ჭაბურღილები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ლაგოდების გარდა, კიდევ ორ მუნიციპალიტეტს უზრუნველყოფდნენ სასმელი წყლით;
- ამ გარემოებებში, ნათლად იკითხება ექსპერტული ჯგუფის შექმნის საჭიროება, რომელიც მოკვლევის საფუძველზე დადებს დასკვნას სასმელი წყლის არსებული რესურსების ეფექტიანად და ხარჯთ-ეფექტურად გამოყონების თაობაზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სასმელი წყლით უზრუნველყოფის მასშტაბური პროექტები კოორდინაციაში იყოს სარწყავი წყლით უზრუნველყოფის პროექტებთან;
- იმის გათვალისწინებით, რომ სასმელი წყლის პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა მისი სარწყავად გამოყენება (შესაბამისად, არარაციონალურად

გამოყენება არენს სასმელი წყლის დეფიციტს) მოსახლეობის ნაწილი თვლის, რომ სასმელ წყალზე მრიცხველების დაყენება და ეფექტურად აღრიცხვა პრობლემას დიდ წილად მოაგვარებდა;

- სასმელი წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებებს შორის სახელდება, აგრეთვე წყლის მოძველებული მილების რეგულარული ჩანაცვლება ახლით;
- სასმელი წყლის მაღალი ტარიფის პრობლემის მოსაგვარებლად, ლაგ-ის მიერ შესაძლო ალტერნატივად განიხილება გალაგ-ის (ლაგ-ების გაერთიანება) ეგიდით საპარლამენტო კომიტეტთან ლობირება, რათა მთელი საქართველოს მასშტაბით წყლის სისტემის მართვა მუნიციპალიტეტებს გადაეცეს;

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმართულებით გამოვლენილი იქნა შემდეგი ალტერნატივები:

- მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს შიდა გზების რეაბილიტაციის გრძელვადიანი გეგმა, დროში გაწერილი პრიორიტეტებით, რომლის შედგენაშიც აქტიურად ჩაერთვებიან რწმუნებულები. იორიტეტებთ;
- გამოითქვა მოსაზრება, რომ ტენდერის მეშვეობით დაქირავებული კომპანიის მიერ შესრულებული მოხრეშვის ხარჯები საკმაოდ მაღალია და მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალური ტექნიკის შესყიდვა და საკუთარი ძალებით სამუშაოების განხორციელება ხარჯთ-ეფექტური იქნებოდა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი თავად მოიპოვებს მასალას მდინარის კალაპოტიდან;
- საკრებულოში შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია საგზაო მოძრაობის დასარეგულირებლად საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე მოხდება მუნიციპალიტეტში უსაფრთხო მოძრაობისთვის საჭირო საგზაო ნიშნების მოწესრიგება და სხვა საჭირო ზომების მიღება;
- ქუჩების განათების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარებისთვის საჭირო იქნება ამორტიზირებული ელექტრო კაბელების, ბოძებისა და ტრანსფორმატორების ნუსხის შედგენა და შეკეთება/განახლება;
- სოფლის სასაფლაოებზე საბაზისო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო იქნება პრიორიტეტების ნუსხის შემუშავება და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა, რათა მოხდეს სასაფლაოების ელექტროფიცირება, სასმელი წყლითა და საპირფარეშოთი უზრუნველყოფა;

ქუჩების სახელდებასა და ნუმერაციასთან დაკავშირებული პრობლემების მისაგვარებლად საჭირო იქნება:

- მოსახლეობასთან შეხვედრები, რათა შეთანხმდეს ქუჩებისთვის სახელების შერჩევა და ნუმერაცია;
- გამორჩეული/დამსახურებული ლაგოდებულების სიის შედგენა ქუჩების სახელდებისთვის. ამისათვის, ლაგ-მა შესაძლოა შექმნას საინიციატივო ჯგუფები თემებში, რომლებიც თვითონ დაასახელებენ კანდიდატებს;

შიდა და მუნიციპალიტეტამდე მისასვლელი სატრანსპორტო სისტემის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი ალტერნატივები:

- შეხვედრა კერძო გადამზიდავებთან და მათი წახალისება, რომ ტრანსპორტირების უსაფრთხოებისა და ხარისხის ასამაღლებლად ლაგ-ის წევრები შეეცდებიან გაერკვნენ იმ საკითხში თუ მძღოლები ე.წ. ატეკას ყოველდღიურად გარკვეულ თანხას რა სერვისების სანაცვლოდ უხდიან და გაურკვეველია სანაცვლოდ რა სერვისებს იღებენ;
- მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი ალტერნატივები:
- პირველ რიგში საჭირო იქნება მუნიციპალიტეტში ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაციის გრძელვადიანი გეგმის შედგენა, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით დროში იქნება გაწერილი და შშმპ-ებზე იქნება ადაპტირებული;
- მერიის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა შეკრიბონ ინფორმაცია რწმუნებულებისგან ცალკეულ თემებში მედპერსონალის დამატების საჭიროების შესახებ და შესაბამისი თხოვნით მიმართონ ჯანდაცვის სამინისტროს;
- მერია და საკრებულო განიხილავენ საკითხს ერთი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანის დამატების შესახებ, რომელიც განთავსდება აფენის თემში. შესაბამისად, საჭირო გახდება აფენის თემში შესაბამისი პუნქტის გახსნა;
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლისთვის მერიას აქვს გეგმა ამბულატორიების რეაბილიტაციისთვის და მომავალ წელს ამ გეგმის მიხედვით იმოქმედებს.

სანიაღვრე არხების სისტემის გასაუმჯობესებლად საჭირო იქნება მერიის მიერ სანიაღვრე არხების გაკეთების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, პრიორიტეტების გათვალისწინებით (მაგ. განსაკუთრებით აქტუალურია მთის მიმდებარე სოფლებში;) თავის მხრივ, ლაგ-ი განახორციელებს გეგმის შესრულების მონიტორინგს.

სოფლის სასაფლაოების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო იქნება ცალკეული სასაფლაოების ელექტროფიცირების, სასმელი წყლითა და საპირფარეშოთი უზრუნველყოფის პრიორიტეტული ნუსხის შედგენა და მერიისთვის გადაცემა.

მეორე თემატური ჯგუფი _ სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რგოლები

მეორე თემატურ ჯგუფთან დაკავშირებული პრობლემები

- სარწყავი სისტემა გაუმართავია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას;
- ზოგადად, მელიორაციის სამსახურის მუშაობის ეფექტურობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ზოგიერთ სოფელში მარტივად შეიძლება ცენტრალიზებული სარწყავი სისტემის გაკეთება, მაგრამ ძირითადი პრობლემები მოუგვარებელი რჩება;
- არ არის სასაწყობე და შემფუთავი სერვისები; აგრეთვე, არ არის გადამამუშავებელი მაგალითად, საკონსერვო საწარმოები;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სრულფასოვანი დაგეგმვისთვის არ არის საკმარისი ინფორმაცია, მაგ. სად რა პროდუქტი უნდა მოვიყვანოთ და როგორ? ასევე, გასაღების ბაზრის პოტენციალის შესახებ ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია;
- ვერ კეთდება ნიადაგის ბიო-ქიმიური ანალიზი;
- არ არის გაკეთებული მიწების და მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია;
- არ არსებობს სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმები;
- არ არსებობს საინვესტიციო შეთავაზებების პაკეტი;
- მიწების დიდი ნაწილი გაუფორმებელია და ეს მრავალ პრობლემას ქმნის. მაგალითად, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მხრივ;
- საძოვრების შენარჩუნების პრობლემა - იჭარით გაცემის შემთხვევაში სოფელი რჩება საძოვრის გარეშე;
- ფერმერებს სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ აქვთ ან არ იციან როგორ მიიღონ მონაწილეობა (მაგალითად, ბიზნეს გეგმის შედგენა არ იციან);
- სამინისტროების წარმომადგენლობებსა და თვითმმართველობას შორის დაბალი კოორდინაცია;
- კოოპერატიული საქმიანობის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ და უნდობლად არიან განწყობილი;

მეორე თემატური ჯგუფის პრობლემების მოსაგვარებლად გაუღებელი შესაძლო ალტერნატივები

- სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მიმართვა, რათა მასშტაბური სამელიორაციო პროექტების განსახორციელებლად პოტენციალის შესწავლა მოხდეს და განხორციელდეს;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიძლება მოძიებული იქნას სამელიორაციო საკითხების კვლევა/გეგმა, რომელიც 80-იანებში ჩატარდა;
- სასურველია, რომ იქამდე ვიდრე ლაგოდების მელიორაციის სამსახური წლიურ გეგმას გადაუგზავნის ცენტრს, გეგმის შეჯერება მოხდეს მუნიციპალიტეტთან მჭიდრო კონსულტაციებით;
- ყველაზე ეფექტურ გამოსავლად მიჩნეულია რამდენიმე დიდი წყალსაცავის გაკეთება, რომლებიც დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს, როგორც სასმელ, ასევე სარწყავ წყალზე და ამავე დროს, შესაძლოა ტურისტული ატრაქციის (ხელოვნური ტბა) ფუნქციაც შეასრულონ;

- სახელმწიფო პროგრამების შესახებ მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელება და ბიზნეს გეგმის შედგენაში დახმარება;
- ლაგ-მა მოახდინოს ლობირება შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, რათა შესაძლებელი გახდეს სოფლის მეურნეობის მობილური მინი ლაბორატორიის ლაგოდეხში შემოტანა, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ფერმერებს, როგორც მიწათმოქმედებაში, ასევე მეცხოველეობაში;
- სარეალიზაციო ბაზრისა და ფასების შესახებ რეგულარულად შეგროვდეს ინფორმაციები და მიეწოდოს ადგილობრივ მოსახლეობას (ფერმერებს);
- ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების გეგმის შედგენა (მუნიციპალიტეტის ქონებისა და მიწის ინვენტარიზაცია);
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმების შედგენა და დამტკიცება;
- ევროპულ ლაგ-ებთან თანამსრომლობით ინოვაციური ბიზნეს პროექტების ერთობლივი განხორციელება;
- ლაგ-ის მიერ პრობლემური საძოვრების აღრიცხვა და მოთხოვნა, რომ მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე არ გასხვისდეს;

მესამე თემატური ჯგუფი _ ტურიზმის განვითარება

მესამე თემატურ ჯგუფთან დაკავშირებული პრობლემები

- ლაგოდებში არ ფუნქციონირებს საინფორმაციო ცენტრი;
- ლაგოდებს არ აქვს ტურიზმის ბრენდირება;
- არ არის მსხვილი ტურისტული ატრაქციები;
- ტურისტული ბილიკები უკეთ მოწყობას საჭიროებს;
- არ არის საზაფხულო წყლის ატრაქცია;
- ტურისტებისთვის კვალიფიციური გიდები არ არის - ენის ცოდნა, კომუნიკაცია;
- დაბალი ხარისხის მომსახურების სერვისი ტურიზმში;
- ქალაქ ლაგოდების კულტურის სახლს სჭირდება რეაბილიტაცია;
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმს სჭირდება რეაბილიტაცია და რესტავრაცია. მუზეუმი მდებარეობს ყოფილი ბაგა-ბაღის შენობაში, შენობა არის ორ სართულიანი, მუზეუმი განთავსებულია პირველ სართულზე. შენობა არის ძველი იერსახით და ფასადი საჭიროებს სრულად რესტავრაციას. ასევე სრულ მშენებლობას საჭიროებს ლობე რომელიც არის ასევე ძველი იერსახით შემორჩენილი. ტურისტებისთვის და არა მარტო ტურისტებისთვის მიმზიდველი არაა, რადგან არ ეტყობ რომ ამ ძველი იერსახის შენობაში განთავსებულია მუზეუმი.
- კულტურულ ობიექტების გარშემო არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და არ არის შეტანილი ტურისტულ მარშრუტებში;
- არ არის სათანადო პირობები საოჯახო ტურიზმის განვითარებას;
- სათევზაო და სამონადირეო ტურიზმის დიდი პოტენციალი გამოყენებული არ არის;
- უპატრონო/ქუჩის ძაღლების დიდი რაოდენობა პრობლემას უქმნის როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ტურისტებს;
- ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის პრობლემა დიდ პრობლემებს უქმნის ტურისტებს;
- ტურისტულ ობიექტებთან არ არის საკმარისი ნაგვის ურნები

მესამე თემატური ჯგუფის პრობლემების მოსაგვარებლად გაჟღერებული შესაძლო ალტერნატივები

- ზოგადად, პირველ რიგში უნდა შეიქმნას ლაგოდებში ტურიზმის განვითარების კონცეფცია;
- უნდა შეიქმნას საინფორმაციო პორტალი ტურისტებისთვის, სადაც ინფორმაციას მიიღებენ იმის შესახებ თუ სად რისი ნახვა შეუძლიათ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს უკვე აქვს საიტი: visitlagodekhi.ge, რომლის განახლებაც იგეგმება;
- მუნიციპალიტეტს ჰქონდეს მუნიციპალიტეტის მარკეტინგული სტრატეგია, სადაც თითოეული პროდუქტის ბრენდირებაზე იქნება გეგმა; შესაბამისი ვებგვერდი შექმნილია, მაგრამ საჭიროა განახლება, ახალი დიზაინი;
- კულტურული და ისტორიული ობიექტების ბაზა უნდა შეიქმნას;
- ხის კენწეროების ბილიკის გაკეთება;
- მუნიციპალიტეტის რომელიმე ტყეპარკში გაკეთდეს თანამედროვე ატრაქციონები;
- კულტურული ძეგლების შესახებ ლეგენდების შექმნა და გავრცელება;

- ლაგ-ს შეუძლია ეკლესიების აღდგენაზე ევროკავშირის ფულის მოპოვება და გაცემა;
- ხელოვნური ტბის და სხვა რეკრეაციული ადგილების გაკეთება;
- საცალფეხო ხიდის ბილიკი მაჭის ციხეზე;
- ზიპლაინი
- ტყე-პარკის დაკავშირება ველობილიკით დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან;
- კულტურის სახლის რეაბილიტაციისთვის ახალი ხარჯთაღრიცხვა შედგეს და შემუშავდეს ეტაპობრივი რეაბილიტაციის გეგმა - ანუ ნაწილ-ნაწილ გაკეთდეს; მუნიციპალური განვითარების ფონდთან (მგფ) ლობირების კამპანია;
- საოჯახო ტურიზმის განვითარებისთვის განვითარდეს საჭირო ინფრასტრუქტურა. მაგალითად, ნაკრძალში დაიგეგმოს ბავშვებისთვის მარტივი და მოკლე მანძილები;
- ტურისტული პოტენციალის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
- ლაგოდები წარმოჩინდეს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელი. მაგალითად, ლაგ-მა გამოსცეს სახელმძღვანელო: „ტურიზმი სოფლად“, „ბიო ეზო“ და სხვ.
- კულტურის სახლის რეაბილიტაცია _ კულტურის სახლში არსებობს დარბაზი სადაც ამჟამად იმართება სპექტაკლები, მაგრამ დარბაზი საჭიროებს სრულ განახლებას, დარბაზში არ არსებობს დათბობა/გაგრილების სისტემა, რაც ხელს უშლის სპექტაკლების ჩატარებას, გასაახლებელია სრულად მთელი დარბაზი და საოპერატორო. დარბაზის განახლება ხელს შეუწყობს სპექტაკლების ჩატარებას, ხარისხს, რაც გაზრდის მაყურებლის რაოდენობას. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს კულტურის სახლთან არსებული ქარგვის, ქსოვის და მხატრული კითხვის უფასო წრე, საჭიროა ინვენტარის შეძენა. ასევე გასაახლებელია სპექტაკლისთვის საჭირო რეკვიზიტები.
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია და განვითარება. არსებული ეზო იძლევა იმის საშუალებას, რომ მოეწყოს ღია მუზეუმი, სადაც მისული დამთვალიერებელი თან დაათვალიერებს და დაისვენებს ბაღში, ეზოს სიდიდე და სილამაზე ასევე იძლევა იმის საშუალებას, რომ გავმართოთ კულტურული თუ შემეცნებითი ღონისძიებები. მუზეუმს ესაჭიროება დაცვის სისტემა რადგან არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ვერცხლის ექსპონატები დაუბრუნდეს ლაგოდებს და გამოიფინოს დარბაზში. ასევე ესაჭიროება ხუთივე საგამოფენო დარბაზის კოსმეტიკური რემონტი. მეორე სართულზე არსებული ფართის ნაწილზე იგეგმება საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება, როგორც მუზეუმისთვის ასევე გაქირავებისთვის;
- ძველი ეკლესიების, ძველი სამარხების, მეღვინეობის ადრეული კერების, გოგირდის აბანოების ან სხვა ობიექტების გადაქცევა ტურისტულ მიმზიდველობებად საბაზისო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით;
- ტურისტულ ობიექტებთან ნაგვის ურნები პრიორიტეტულად უნდა დაემატოს;

მეოთხე თემატური ჯგუფი _ გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების რისკისა და ზიანის შემცირება

მეოთხე თემატურ ჯგუფთან დაკავშირებული პრობლემები

- ღვარცოფული მდინარეები მუდმივი საფრთხის წყაროა;
- მუნიციპალიტეტისთვის ინერტული მასალების ამოღების პროცესი გართულებულია;
- მდინარეების კალაპოტები სათანადოდ არ იწმინდება და ნაპირსამაგრი სამუშაოები არ ტარდება;
- ზოგადად, ხე-ტყის უნებართვო და დიდი ოდენობით ქრა;
- ალაზნის ქალაში სამონადირეო მეურნეობა არ არის ეფექტური. სათანადოდ, ვერც ცხოველებს უვლიან და ხეებიც დიდი რაოდენობით იჭრება. სამონადირეო მეურნეობის მოქმედების მარეგულირებელი კანონმდებლობა ცვლილებებს საჭიროებს;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სისტემა გაუმჯობესებას საჭიროებს, განსაკუთრებით სოფლად. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ემსახურება 3 მერსედესის ტიპის ნაგავმზიდი, აქედან ერთი ქალაქს, 2 თემებში შემავალ სოფლებს, რომლებიც საკმარისი არ არის მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ თემებში შემავალი სოფლებიდან ნარჩენების გატანისთვის. აგრეთვე არ არის საკმარისი რაოდენობის ნაგვის ურნა. ახალი ტიპის ნაგავმზიდებში და ახალ ურნებში არ შეიძლება ყველა სახის ნარჩენის განთავსება, მყარი და სამშენებლო ნარჩენების გასატანად საჭიროა სხვა ტიპის მანქანები (მაგ. თვითმცლელები), და სპეციალური ურნები, რადგან საჭიროა პლასტმასისა და მინის განცალკევება და ცალკე ცალკე ურნებში განთავსება.

მეოთხე თემატური ჯგუფის პრობლემების მოსაგვარებლად გაუღებელი შესაძლო ალტერნატივები

- კალაპოტების გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოები რეგულარულად ჩატარდეს. მთელი წლის განმავლობაში პრევენციული მუშაობა არის გამოსავალი. შესაბამისად, უნდა დაემატოს კამაცუს ტიპის ტექნიკა და რამდენიმე ტრაქტორი;
- სამშენებლო მასალების ცალკე ნაგავსაყრელი უნდა შეიქმნას;
- მდინარეებზე წინასწარი შეტყობინების სისტემის დაფარვის არეალი და ეფექტურობა უნდა გაიზარდოს;
- ეფექტიანი ნაპირსამაგრები უნდა გაკეთდეს ქვის მასალისგან;
- ხე-ტყის უკანონო ქრის წინააღმდეგ ლაგ-მა აწარმოოს ეფექტური საინფორმაციო კამპანიები და საზოგადოებრივი აზრის მობილიზება გააკეთოს;
- გალაგ-ის დახმარებით ლაგ-მა გაწიოს ლობირება, რათა სატყეო მეურნეობამ აიღოს პასუხისმგებლობა ტყის მცენარეული საფარის დაცვაზე, ხოლო სამონადირეო მეურნეობამ მოაშენოს ნადირ-ფრინველი;
- საჭიროა ნაგავმზიდი მანქანებისა და ნაგვის ურნების დამატება;
- აგრეთვე, საჭიროა ნაგავმზიდებზე მომუშავე პერსონალის ცნობიერების ამაღლება.

მეხუთე თემატური ჯგუფი _ მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება

მეხუთე თემატურ ჯგუფთან დაკავშირებული პრობლემები

- ახალგაზრდების გადინება და დემოგრაფიული პრობლემები;
- ახალგაზრდების თავშეყრის, გართობისა და განვითარების ცენტრები სოფლებში ან საერთოდ არ არის, ან სავალალო მდგომარეობაში

მეხუთე თემატური ჯგუფის პრობლემების მოსაგვარებლად გაუღერებული შესაძლო ალტერნატივები

- დემოგრაფიულ პრობლემებთან დაკავშირებით სასურველია, რომ არსებობდეს მეტ-ნაკლებად ზუსტი მონაცემები: მუნიციპალიტეტიდან გასული ახალგაზრდების ასაკი, გენდერული თანაფარდობა, სხვაგან დასაქმების პირობები, მათ შორის ხელფასის ოდენობა _ უნდა დაიგეგმოს მსგავსი კვლევის ჩატარება ახალგაზრდების შესახებ, რათა შეიქმნას გარკვეული ბაზა;
- სოფლებში ახალგაზრდების თავშეყრის ადგილების შექმნა (ძირითადად, იგულისხმება სკვერები, ხის სკამებით. ასევე არტ-კაფე - შშმპ-ებზე და მშობლების საჭიროებებზე ადაპტირებული. უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოში შექმნილია სამუშაო ჯგუფი სკვერების და სპორტული მოედნების საჭიროებების ნუსხის შესადგენად;
- ადგილებზე საგანმანათლებლო და გასართობი კერების შექმნა სოფლის არსებული კლუბების რეაბილიტაციის ან ახლის აშენებით;
- მერია გეგმავს დეფექტური აქტების მომზადებას სარეაბილიტაციო კლუბებზე და შენობებზე;
- თითოეულ თემში არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, სპეციფიური სპორტის სახეობის მხარდაჭერა ინვენტარით და სხვა რესურსებით. თითოეული თემის/სოფლის სპეციფიური საჭიროებების ნუსხის შედგენა;
- ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, მათ შორის სტარტაპების შექმნით. გარკვეული წლების წინ ახალგაზრდული სამოქალაქო ინიციატივების მხარდამჭერი პროგრამა ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტში და მცირე ბიუჯეტის მიუხედავად ახალგაზრდების გააქტიურებას იწვევდა;
- ე.წ. სტრუქტურული დიალოგის საბჭოების შექმნა, რომლებიც კოორდინაციაში იქნებიან მერიის შესაბამის სამსახურებთან;
- ლაგ-ს შეუძლია, რომ ადვოკატირება გაუწიოს ასეთი საბჭოების შექმნას;
- პროფესიული გადამზადების კურსების ხელმისაწვდომობის ამაღლება ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ქალებში და შშმპ-ში;
- პროფესიული სასწავლო კურსების საჭიროებების ნუსხა უნდა მომზადდეს, რომელზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა არის ლაგოდებში;
- არსებული პროფესიული და გადამზადების კურსების ცნობადობის ამაღლება თემებში;
- მუნიციპალიტეტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო გეგმავს შესაბამისი ვებგვერდის (პლატფორმის) შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება დამსაქმებლის და სამუშაოს მაძიებლის ერთმანეთთან დაკავშირება;

პრობლემების კლასიფიკაცია პრიორიტეტების მიხედვით

სათემო შეხვედრების დროს გამოვლენილი პრობლემების პრიორიტეტიზაცია მოხდა ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით, პირველი: რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის პრობლემა თემისთვის და მეორე: რამდენად გადაუდებელია პრობლემა ანუ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს თუ არა. პრიორიტეტული პრობლემების უკეთ ვიზუალიზაციისთვის გამოყენებული იქნა 1-დან 9-მდე შკალა, სადაც 1-დან 9-ის მიმართულებით იზრდება პრობლემების როგორც მნიშვნელოვნება, ასევე გადაუდებლობა. შკალა დაყოფილია სამ თანაბარ ნაწილად, შესაბამისად: 1-დან 3-მდე; 4-დან 6-მდე და 7-დან 9-მდე; შკალის თითოეულ უჯრაში ცალკეული პრობლემა განთავსდა იმის და მიხედვით, თუ რამდენად ხშირად იყო მოხსენიებული სათემო შეხვედრების დროს მნიშვნელოვანი ან/და გადაუდებელი პრობლემების კატეგორიაში.

მნიშვნელოვანი _ 7 - 9;

გადაუდებელი _ 7 - 9

1. ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდება, ძირითადად გრაფიკით ხდება ან საერთოდ არ ხდება; დაქსელვა არის მხოლოდ ქალაქში და 5 სოფელში;
2. სასმელი წყლის მაღალი ტარიფი;
3. მდინარის კალაპოტები სათანადოდ არ იწმინდება და ნაპირსამაგრი სამუშაოები არ ტარდება;
4. სარწყავი სისტემა გაუმართავია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას;
5. ახალგაზრდების გადინება და დემოგრაფიული პრობლემები;
6. არ არის ახალგაზრდების თავშეყრის, გართობისა და განვითარების ცენტრები სოფლებში;
7. არ არის სასაწყობე და შემფუთავი სერვისები;
8. არ არის გადამამუშავებელი, მაგალითად საკონსერვო საწარმოები;
9. სოფლის მეურნეობის დაგეგმვისთვის არ არის საკმარისი ინფორმაცია, მაგ. სად რა პროდუქტი უნდა მოვიყვანოთ და როგორ? ასევე, გასაღების ბაზრის პოტენციალის შესახებ ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია;

მნიშვნელოვანი _ 7 – 9;

გადაუდებელი _ 4 – 6;

1. არ არის მსხვილი ტურისტული ატრაქციები;
2. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და დასვენების პარკები საკმარისი არ არის;
3. არ არის გაკეთებული მიწების და მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია;
4. არ არსებობს სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმები;
5. დამისამართების პრობლემა გადაუჭრელი რჩება;

6. თვითმმართველობებს არ აქვთ საშუალება რომ მეტი შემოსავალი დარჩეს მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ აქვს დიდი სტიმული, რომ შემოსავლის მექონე მიმართულებები განავითაროს;
7. არ არსებობს საინვესტიციო შეთავაზებების პაკეტი;
8. ლაგ-ის სტატუსი სათანადოდ არ არის აღიარებული;

მნიშვნელოვანი _ 7 – 9;

გადაუდებელი _ 1 – 3;

1. მუნიციპალიტეტს არ აქვს ინერტული მასალების ამოღების უფლება;
2. კულტურის სახლს სჭირდება რეაბილიტაცია და არ ფუნქციონირებს;
3. თვითმმართველობის და სამინისტროების წარმომადგენლებს შორის დაბალი კოორდინაცია;
4. მასშტაბური სპორტულ-კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ნაკლებობა;
5. ფეხბურთის აკადემია გაიხსნა ერთი წლის წინ - ემსახურება მთელ კახეთს;
6. პოტენციურად შესაძლებელია, რომ სხვადასხვა ფედერაციებმა ბაზები დაამატონ;
7. ტურიზმის დიდი პოტენციალი: სათევზაო; სამონადირეო;
8. არ არის საზაფხულო წყლის ატრაქცია - ხელოვნური ტბა/აკვაპარკი;
9. კულტურის სახლის რეაბილიტაცია;
10. ხის კენწეროების ბილიკის პოტენციალი;
11. ტურისტული ბილიკების საჭიროება და პოტენციალი;
12. კულტურულ ძეგლებთან მიმავალი ინფრასტრუქტურა;
13. მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების მექანიზმი არ ფუნქციონირებს;
14. ნაკლები უფლებები აქვს თვითმმართველობას;

მნიშვნელოვანი _ 4 – 6;

გადაუდებელი _ 7 – 9;

1. ბავშვთა გასართობი ცენტრები არ არის, რაც აფერხებს საოჯახო ტურიზმის განვითარებას;

მნიშვნელოვანი _ 4 – 6;

გადაუდებელი _ 4 – 6;

1. ლაგოდებს არ აქვს ტურიზმის ბრენდირება;
2. დაბალი ხარისხის მომსახურების სერვისი;
3. კულტურულ ობიექტების გარშემო არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და არ არის შეტანილი ტურისტულ მარშრუტებში;
4. სატრანზიტო ჯერ არ არის მაგრამ არის პოტენციალი; მოსახლეობის 25 % აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობაა რომლის ინტეგრაციაც ძალიან რთულია;
5. სამუშაო ადგილების ნაკლებობა;

მნიშვნელოვანი _ 4 – 6;

გადაუდებელი _ 1 – 3;

1. შიდა და მუნიციპალიტეტამდე მოსასვლელი ტრასპორტის სისტემა გაუმართავია;

თავი III – მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის სამი პრიორიტეტული სექტორის, მათ შორის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხების უფრო დეტალური ანალიზი. ეს სფეროები მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელია და დანარჩენ ორ თემატურ ჯგუფში - სოციალური და მოწყვლადი ჯგუფები - თავმოყრილი პრობლემების მოგვარებასაც უწყობს ხელს. აღნიშნული პრიორიტეტული სექტორების ყოვლისმომცველი ანალიზის საჭიროება გამოვლენილი იქნა LAG-ისა და თემების წარმომადგენლებთან გამართული კონსულტაციების შედეგად.

ცხრილი 3: ლაგოების დაცულ ტერიტორიებში ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით, 2016, 2017, 2018

წლებისა და 2019 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით

თვე	ვიზიტორები						ვიზიტორთა რაოდენობა				საერთო
	ქართველი			უცხოელი							
	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	
იანვარი	527	440	438	102	132	142	629	572	580	329	
თებერვალი	603	616	691	125	182	246	728	798	937	963	
მარტი	772	876	1002	145	145	261	917	1021	1263	1498	
აპრილი	2264	2396	2599	704	824	918	2968	3220	3517	3586	
მაისი	3797	3810	3844	1322	1377	1408	5119	5187	5252	5460	
ივნისი	3838	5221	5106	1336	1408	1729	5174	6629	6835	6994	
ივლისი	5920	6044	6270	1835	1759	1795	7755	7803	8065	9135	
აგვისტო	8303	8477	8604	1999	2145	2302	10302	10622	10906	11183	
სექტემბერი	5496	6297	6532	2140	2222	2346	7636	8519	8878	4724	
ოქტომბერი	6182	6284	6368	1520	1841	1888	7702	8125	8256	0	
ნოემბერი	462	2144	2314	148	479	519	610	2623	2833	0	
დეკემბერი	50	400	150	0	0	0	50	400	150	0	
სულ	38214	43005	43918	11376	12514	13554	49590	55519	57472	43872	

ტურიზმის განვითარების საკვანძო ასპექტები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რომელთაგანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები. ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს საკუთარი ადმინისტრაცია მართავს, რომელიც ტურისტებს, ვიზიტორთა ცენტრის მეშვეობით, სხვადასხვა სერვისებს სთავაზობს.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ძირითადი ტურისტული მარშრუტებია: როჭოს ჩანჩქერი, ნინოსხევის ჩანჩქერი (დიდი ჩანჩქერი), მაჭის ციხე, შავი კლდეების ტბა და ბუნების შემეცნებითი ბილიკი.

ვიზიტორები ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, რუსეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, აშშ-დან და სხვ. 2019 წლის განმავლობაში 20 სექტემბრის მდგომარეობით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს ეწვია ჯამში 43 872, ამათგან 32 634 საქართველოს მოქალაქე იყო, 11 238 -- კი უცხოელი.



2019 წლის აგვისტოს მონაცემებით გენდერულ ჭრილში ტურისტთა მონაცემები ასე გამოიყურება: მდედრობითი 21219, ხოლო მამრობითი 17929;

ვიზიტორები				გენდერული მონაცემები			
2019 წელი				2019 წელი			
	ქართველი	უცხოელი	სულ		მდედრობითი	მამრობითი	სულ
იანვარი	249	80	329	იანვარი	181	148	329
თებერვალი	702	261	963	თებერვალი	518	445	963
მარტი	1172	326	1498	მარტი	823	675	1498
აპრილი	2655	931	3586	აპრილი	1997	1589	3586
მაისი	3907	1553	5460	მაისი	2828	2632	5460
ივნისი	5213	1781	6994	ივნისი	3786	3208	6994
ივლისი	6911	2224	9135	ივლისი	4987	4148	9135
აგვისტო	8701	2482	11183	აგვისტო	6099	5084	11183
სექტემბერი	3124	1600	4724	სექტემბერი			0
ოქტომბერი			0	ოქტომბერი			0
ნოემბერი			0	ნოემბერი			0
დეკემბერი			0	დეკემბერი			0
სულ	32634	11238	43872	სულ	21219	17929	39148

2018 წელს 2016 წელთან შედარებით ვიზიტორთა საერთო რაოდენობა საშუალოდ 13.7%-ით გაიზარდა. 2016 წელთან შედარებით უცხოელი და ქართველი ვიზიტორების რიცხვი გაიზარდა 13% და 16%-ით, შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილი ლაგოდების დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკა 2016 -2017-2018 წლებისა და 2019 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით:

სურათი 1: ლაგოდების დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017-2018 წლებისათვის



უნდა აღინიშნოს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სიახლოვე მეზობელ აზერბაიჯანთან ამ ქვეყნიდან შემოსული ტურისტების რაოდენობის გაზრდის ხელშემწყობი პირობაა. ვიზიტორთა სტატისტიკის გათვალისწინებით, მუნიციპალური განვითარებისათვის აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ქვემოთ მოცემულია იმ სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების ჩამონათვალი, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობს ვიზიტორთა დიდი ნაწილი:

სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების ჩამონათვალი

				ინფორმაციის გავრცელების არხები					რეგისტრ წელი
				ვებგვერდი	facebook	tripadvisor	booking.com	airbnb.com	
N	სახელი	ბიზნესის ტიპი	ერთეულის ტიპი	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/არა	2019-მდე
1	ვაშლოვანი/Vashlovani	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	კი	კი	კი	კი	კი	
2	როიალ პალასი (Royal Palace)	სასტუმრო	განთავსების საშ.	არა	კი	კი	კი	კი	
3	ჰერეთი(Hereti)	სასტუმრო	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
4	ლილე(Lile)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	
5	რივერ საიდი(River Side)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
6	რობინზონ კრუზო (Robinson Crusoe)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
7	გარდენია (Gardenia)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
8	ლუდვიგ გესტჰაუზი (Ludwig Guesthouse)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
9	სასტუმრო ვალდი (Wald hotel lagodekhi)	სასტუმრო	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
10	ღვინის სახლი(Winehouse	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
11	კივი ჰაუსი (The Kiwi House)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
12	კავკასიონი Kavkazioni Twins	სასტუმრო	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	
13	Lagodekhi Woods	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
14	La Deka	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	არა	
15	გრინ ჰაუსი (Green House)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
16	აისი (AISI)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
17	გესტ ჰაუსი ლაგო "Guest house Lago"	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
18	ძველი კედელი (Old Wall)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
19	ბიო ეზო (Bio Yard)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
20	დუენდე(Duende Hotel)	სასტუმრო	განთავსების საშ.	კი	კი	კი	კი	კი	
21	ლაგოდეხი რეზორტი (Lagodekhi resort)	სასტუმრო სახლი/ბინა	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	
22	ქულ ჰაუსი (Cool House)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	2019
23	სტრი (Star)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	არა	2019
24	ნანასთან (At Nana's)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	
25	მზიანი ეზო (Sunny yard)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	2019
26	ნოდარის ბაღი (Nodara's garden)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	არა	2019

27	მყუდრო ეზო (Уютный дворик)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	
28	კალინოვკა (Калиновка)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	2019
29	თბილი სახლი (теплый дом)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	2019
30	ლაგოდეხი Lagodekhi	სასტუმრო	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	
31	სასტუმრო პალტისი (hotel Palits	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	არა	2019
32	ვილა ლაგოდეხი (Villa Lagodekhi)	ვილა	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	კი	2019
33	მიმინო (Mimino)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	არა	2019
34	სახლი ტყესთან (The house by the forest)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	კი	2019
35	ბინა 38 (apartment 38)	სასტუმრო სახლი/ბინა	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	2019
36	იას გესტჰაუსი Ias Guesthouse	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	კი	არა	კი	არა	2019
37	რაჩისუბანი (Rachisubani)	სასტუმრო სახლი/ბინა	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	2019
38	სოფელი ნინიგორი (село Нинигори)	სასტუმრო სახლი	განთავსების საშ.	არა	არა	არა	კი	არა	2019

ლაგოდების მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორის წინაშე არსებული გამოწვევებიდან უნდა აღინიშნოს უცხო ენების ფლობის პრობლემა და შეთავაზებული მომსახურების არასაკმარისი რაოდენობა (ძალიან ცოტა გასართობი ცენტრი (კლუბები, კაფეები) და საზოგადოებრივი ცხოვრება არ არის აქტიური).

ამას გარდა, ვიზიტორები სირთულეებს აწყდებიან სასტუმროების/განთავსების ადგილების მიგნებისას, ვინაიდან ქუჩებში არ არის განთავსებული არსებული სასტუმროების/საოჯახო სასტუმროების მაჩვენებელი საინფორმაციო ნიშნები. დარგის განვითარების ხელშესაწყობად აუცილებელია მეტი საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიების განხორციელება.

სეზონური ბუნებრივი მოვლენები/კატასტროფები აზიანებს ტურისტულ მარშრუტებზე არსებულ ინფრასტრუქტურას (მაგ., მდინარეებზე გადებული ხიდები წყალდიდობისას ირეცხება).

სოფლის მეურნეობის განვითარების საკვანძო ასპექტები

მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სოფლის მეურნეობას აკისრია. ამ სფეროში დასაქმებულია მუშახელის 60-70%; ამას გარდა, მასზე მოდის ლაგოდების მუნიციპალიტეტში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 70%. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად გააძლიერებს რეგიონის ეკონომიკას და გაზრდის მოსახლეობის კეთილდღეობას. ამ სფეროში წინსვლის სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანია წარმოება-გასაღების (ღირებულებათა) ჯაჭვის ანალიზი და არსებული რესურსის ეფექტური გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

- მემცენარეობა - 14 000 ჰა.
- ბოსტნეულისა და ბალახის მოყვანა - 8000 ჰა
- მრავალწლიანი კულტურები - 3 700 ჰა
- მეთევზეობა - 4 70 ჰა
- მეფუტკრეობა - 4 000 სკა
- ზეთოვანი კულტურების წარმოება - 85 ჰა.

მარცვლოვან კულტურებს (სიმინდი) სახნავ-სათესი მიწების 60-65% უკავია და მათი ჯამური მოსავალი 70 000-80 000 ტონას შეადგენს.

ლაგოდების მუნიციპალიტეტი განთქმულია ბოსტნეულის, განსაკუთრებით კი არასეზონური ბოსტნეულისა და ბალახის წარმოებით, რომლებიც მარტივი ტიპის სათბურებში მოჰყავთ. არსებული მონაცემებით, ადრეულ გაზაფხულზე იწარმოება და აგრარულ ბაზრებში შეაქვთ ზემოაღნიშნული კულტურების 8000-10000 ტონა.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ასევე მრავალწლიანი კულტურების მოყვანა. უპირატესობა ენიჭება თხილის (კაკლის) და სუბტროპიკული ხილის (ხურმა, კივი) მოყვანას. ამ კულტურების არჩევა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფინანსური მხარდაჭერით, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის ხელშეწყობით დაახლოებით 120 ჰა ფართობზე გაშენდა კაკლის, თხილის და ხურმის ნარგავები.

კენკროვნებს მრავალწლიან ნარგავებში პატარა წილი უკავია, ბაზარზე არსებული მოთხოვნის გამო პერსპექტიულია ისეთი კენკროვნების მოყვანა, როგორიცაა ჟოლო, მარწყვი და მაყვალი.

ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის გათვალისწინებით, არსებობს მეთევზეობის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი. არსებულ სათევზე მეურნეობებში, რომელთაც 470 ჰა უკავიათ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და გაზრდიდა ამ ქვედარგში დასაქმებულთა რაოდენობას.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება მეფუტკრეობისა და, კერძოდ, თაფლის წარმოების ხელშეწყობას ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის რეგულაციები და სტანდარტები ადგილობრივ ფერმერებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ახალი ბაზრების მოპოვებაში დაეხმარება. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონში არსებულ პოტენციალს (4000 სკა).

ძლიერ პერსპექტიულია ზეთოვანი კულტურების წარმოება. ამჟამად 85 ჰა-ზე მოჰყავთ ვარდი და ექსპლუატაციაში უკვე გაეშვა სათანადო გადამამუშავებელი ქარხანაც. ამ პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნა სავარაუდოდ ფერმერებს ზეთოვანი კულტურების მოყვანის სტიმულს მისცემს.

ზემოთ განხილულ პრიორიტეტულ ქვედარგებს განვითარების კარგი პოტენციალი გააჩნია, მოცემულ დარგებში სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამების გათვალისწინებით.

გარემოს დაცვის საკვანძო ასპექტები

გარემოს დაცვა ლაგოდების მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია. ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცის, რომ არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები მნიშვნელოვანია და რომ გარემოს დაბინძურებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას; ამის მიუხედავად, მათი ქცევა ზიანს აყენებს გარემოს. ასეთი მიდგომა შეიძლება აიხსნას იმით, რომ მოსახლეობა სრულად ვერ აცნობიერებს იმ პირდაპირ და არაპირდაპირ დადებით შედეგებს, რაც გარემოს დაცვის შედეგად შეიძლება მიიღოს. კერძოდ, ლაგოდებში გარემოს დაცვის პრიორიტეტად აღიარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში სხვა პრიორიტეტული სექტორების (მაგ., ტურიზმის) განვითარებას.

ლაგოდების მუნიციპალიტეტში ძირითადი გარემოსდაცვითი პრობლემები ნარჩენების მართვას უკავშირდება. ნარჩენების მართვას ართულებს ნარჩენების დიდი მოცულობა. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ნარჩენების სათანადოდ მართვა ვერ ხერხდება. კერძოდ, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სპეციალური, თანამედროვე ნაგავზიდვები. ამავდროულად, არსებული ნაგავზიდვები ზოგჯერ გარემოს დაბინძურებას იწვევს, რადგანაც მათ არ შეუძლიათ ნარჩენების სათანადოდ გადატვირთვა. ამას გარდა, ნაგავზიდვები მხოლოდ ქ. ლაგოდების ცენტრალურ ქუჩებს ემსახურება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ცხოვრებას ურთულებს და გარემოს დაბინძურების წინაპირობას ქმნის.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებია ლიცენზირებული ნაგავსაყრელების და ნაგვის ბუნკერების ნაკლებობა. როგორც წესი,

ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება ნაგვის ბუნკერებზე, რადგანაც ისინი მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზეა განთავსებული.

ამჟამად, ნაგვის შეგროვებას ახორციელებს შპს "კეთილმოწყობა", რომელიც ლაგოდეხის მოსახლეობის დაახლ. 25-30%-ს ემსახურება. შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ლაგოდეხის ნაგავსაყრელზე, რომელიც ღობითაა დაცული. ნაგავსაყრელს მართავს შპს "მყარი ნარჩენების მართვის კომპანია". განთავსებული ნარჩენები იტკეპნება და კვირაში ორჯერ ნიადაგით იფარება.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დანარჩენი, 65-70% საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ხევენ და სხვა მოშორებით მდებარე ადგილებში განკარგავს, რაც უდავოდ, გარემოს დაბინძურებას იწვევს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული ნაგავსაყრელი არ არის საკმარისი წარმოქმნილი ნარჩენების განსათავსებლად.

ნარჩენების მართვის პრობლემის მოსაგვარებლად განსახორციელებელი პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობაა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნაგვის ბუნკერებისა და სათანადო ნაგავმზიდების შექმნა. მუნიციპალური ბიუჯეტიდან თანხების ამ მიზნით მიღება პრობლემატურია. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ლითონის ნაგვის ბუნკერები, რადგანაც ისინი პლასტმასისაზე უფრო გამძლეა. მუნიციპალიტეტისთვის სულ 850 ერთეული 1.1მ² მოცულობის და 150 ერთეული 0.6მ² მოცულობის ბუნკერია საჭირო. ერთი დიდი ბუნკერის ღირებულება დაახლოებით 900 ლარია. მუნიციპალიტეტმა უნდა შეიძინოს ისეთი ნაგავმზიდები, რომელთაც შეუძლიათ ნაგვის ბუნკერების დაცლა. სპეციალური ნაგავმზიდების შექმნა ნარჩენების განთავსების ორ ალტერნატივას ქმნის - ლაგოდეხში ახალი ნაგავსაყრელების მოწყობა, ან ნარჩენების განთავსება ყვარელში არსებულ ნაგავსაყრელზე. უნდა შეფასდეს ლაგოდეხში ახალი ნაგავსაყრელის მოწყობის შედეგად მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მოსახლეობის მიერ მიღებული სარგებელი და გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ხარჯ-ეფექტურობის ანალიზის შედეგების მიხედვით.

რაც შეეხება ნარჩენების სეპარაციას, ამ საკითხის განხილვა ნაადრევია, რადგანაც ნარჩენების სორტირებისათვის საჭიროა მეტი რაოდენობის ნაგვის ურნები და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის არსებობაც, რაც გაცილებით დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. მეორეს მხრივ, როგორც შეხვედრებზე აღინიშნა, ლაგოდეხში წარმოქმნილი ნარჩენები საკმარისია გადამამუშავებელი ქარხნის ასამუშავებლად. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების გზაზე უპირველესი გამოწვევა სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობაა.

ნარჩენების შესაგროვებლად განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან ერთად საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარემოს დაბინძურების და გარემოს დაცვის საკითხებზე. სოფლის სკოლებში შეიძლება რეგულარულად გაიმართოს ამ საკითხებისადმი მიძღვნილი საინფორმაციო სემინარები. სამოქალაქო, სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურებმა გარემოს დაცვის პასუხისმგებლობა უნდა გაიზიარონ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში თავიანთი

წვლილი უნდა შეიტანონ. ამას გარდა, საჭიროა ჯარიმების დაწესება, სამართალდარღვევების მონიტორინგი და აღსრულება.

ლაგოდების მუნიციპალიტეტი მდიდარია მდინარეებითა და ტბებით. თუმცა, ისინი დაბინძურების რისკის ქვეშ დგანან, ვინაიდან გამწმენდი ნაგებობების არარსებობის გამო ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მათში. ჩვეულებრივ, მდინარეებისა და ტბების წყლის ხარისხი არ კონტროლდება. ზოგიერთ სოფელში (მაგ., ჰერეთისკარი) ადგილი აქვს დაჭაობებას, რაც წყლისმიერი დაავადებების გავრცელების რისკს ქმნის.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისას პოლიეთილენის პარკების გამოყენება კიდევ ერთი პრობლემაა, ვინაიდან მოსავლის აღების შემდეგ მათ ადგილზე ტოვებენ, ეს კი აზიანებს ნიადაგის სტრუქტურას. ასეთი ქმედებისთვის გათვალისწინებულია გარკვეული ფინანსური პასუხისმგებლობა, თუმცა ჯარიმების აღსრულება რეალურად არ ხდება, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ასეთი ფაქტების გამოვლენის კუთხით პასიურობისა და პრობლემის ყურადღების მიღმა დატოვების გამო.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა ტყეების გამეჩხრებაა. კერძოდ, ხე-ტყის ქრა საფრთხის წინაშე აყენებს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ სერვისებს; თუმცა, ასეთი ფაქტების აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმი არ არსებობს. თუ ლაგოდების მუნიციპალიტეტი ტურისტულ ზონაში შევა, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ მცენარეთა იშვიათი და უნიკალური სახეობების დაცვით.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გარემოს დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტის წინაშე სამი ძირითადი გამოწვევაა: სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის შექმნა, რომელიც დარღვევებზე ფინანსურ პასუხისმგებლობას უზრუნველყოფს.

თავი IV – ადგილობრივი განვითარების ხედვა

ქვემოთ აღწერილია ლაგოდების მუნიციპალიტეტის განვითარების ამოცანები და მიმართულებები, რომლებიც გამოვლინდა ლაგოდების ძირითადი დაინტერესებული მხარეების ინტენსიური გამოკითხვისა და მათთან კონსულტაციების გზით. ეს იმ ოთხი ძირითადი მიმართულების ჩარჩოშია მოქცეული, რომლებიც 2009-2013 წლებისთვის შემუშავა "სოფლის მეურნეობის ევროპულმა ფონდმა სოფლის განვითარებისათვის".

ძირითად საჭიროებებსა და პრიორიტეტებთან დაკავშირებული ამოცანები

ამ თავში გაანალიზებულია ლაგოდების განვითარების სტრატეგიის ექვსი მთავარი ამოცანა და ხაზგასმულია კავშირი ამ ამოცანებსა და მუნიციპალიტეტის საჭიროებებს შორის. როგორც მეთოდოლოგიის თავში აღინიშნა, ადგილზე კონსულტაციების გზით იდენტიფიცირებული პრობლემები დახარისხდა და კატეგორიებად დაჯგუფდა. ამის შემდეგ, მოხდა მათი დაკავშირება სტრატეგიულ მიმართულებებთან (გადაჭრის გზებთან) და შესაბამისი ამოცანებთან. ხუთი ძირითადი თემატური ამოცანის სახელწოდება სოფლის განვითარების საქმიანობის კონკრეტულ კატეგორიას უკავშირდება. ამ ხუთი თემატურ ამოცანას ემატება მეექვსე, ინსტრუმენტალური; მისი მიზანი LEADER მიდგომის გამოყენება და ლაგოდების განვითარების ჯგუფის (LAG) გაძლიერებაა.

ამოცანა 1 – სოციალური პირობების გაუმჯობესება

სოფლების დიდ ნაწილში სასმელი წყლის სისტემები გაუმართავია, გაზომვარაგება არ გააჩნია და ელექტროენერგიითაც არასაკმარისად მარაგდება, ელექტრომომარაგების ხარისხი ცუდია (ხშირია გათიშვები, არ ხდება ფერმების ელექტრომომარაგება), სადრენაჟე სისტემები არასაკმარისი ან დაზიანებულია, ინტერნეტისადმი წვდომა დაბალია - აღნიშნულის გამო საცხოვრებელი პირობები არ არის მიმზიდველი.

პირველი ამოცანის ეფექტურად შესრულებისას პირველ რიგში უნდა გადაიჭრას ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტად მიწოდების პრობლემა. ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმართულებით უნდა გადაიდგას ნაბიჯები. მნიშვნელოვანია, ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. სანიაღვრე არხების სისტემის გასაუმჯობესებლად საჭირო იქნება მერიის მიერ სანიაღვრე არხების გაკეთების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, პრიორიტეტების გათვალისწინებით (მაგ. განსაკუთრებით აქტუალურია მთის მიმდებარე სოფლებში;). გასათვალისწინებელია სოფლის სასაფლაოების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, მაგ. ცალკეული სასაფლაოების ელექტროფიცირების, სასმელი წყლითა და საპირფარეშოთი უზრუნველყოფის პრიორიტეტული ნუსხის შედგენა და მერიისთვის გადაცემა.

ამოცანა 2 - სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რგოლების განვითარება

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მეურნეობა სტრატეგიული როლს ასრულებს. ამ სექტორის მნიშვნელობას საკონსულტაციო შეხვედრებზე ლაგოდების მოსახლეობამაც გაუსვა ხაზი. ლაგოდების მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია თვითდასაქმებული. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარების წახალისება ლაგოდების განვითარების სტრატეგიის საკვანძო კომპონენტია. ამიტომაც, მეორე ამოცანა აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისკენაა მიმართული.

ამოცანა 2 შემდეგი პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად: სარწყავი სისტემების გაუმართაობა და არასათანადო მოვლა-პატრონობა, სასაწყობე სივრცეების ნაკლებობა და სათბურების დაბალი ხარისხი.

გამოვლენილ პრობლემებსა და დასახულ ამოცანას შორის კავშირი საკმაოდ გამოკვეთილია - სარწყავი სისტემების აღდგენას კერძო და კომერციული დანიშნულების ქონების მესაკუთრეებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სარწყავი სისტემის აღდგენა წყლის რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას და ამავდროულად, ჯანსაღი ლანდშაფტების შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

სასაწყობე შენობა-ნაგებობების ნაკლებობა მავნებლებისა და დაავადებების გავრცელებას უწყობს ხელს; ამცირებს მოსავლის შენახვის ვადებს; მოსავლის აღების პერიოდში ბაზარზე ჭარბ მიწოდებას, ხოლო სხვა პერიოდებში პროდუქციის დეფიციტს განაპირობებს; აქვეითებს ფერმერული პროდუქციის ხარისხს და მის კარგვას უწყობს ხელს. ამიტომაც, სასაწყობე მეურნეობების მშენებლობის ხელშეწყობა არსებითია აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის. ამას გარდა, ხაზი გაესვა თანამედროვე სათბურების მნიშვნელობას, რადგანაც მათი მეშვეობით ფერმერებს შეუძლიათ პროდუქცია მაშინ გაყიდონ, როდესაც მასზე საბაზრო ფასი ყველაზე მაღალია. საერთო ჯამში, ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა აუცილებელია სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, თუმცა მხოლოდ მათი გადაჭრა არ იქნება საკმარისი.

ლაგოდების მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, თუმცა სხვა სექტორებსაც გააჩნია განვითარების კარგი პოტენციალი, რაც სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას შეუწყობდა ხელს. საზოგადოებრივი და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების/ მომსახურების ობიექტების (ბანკები, სილამაზის სალონები, ჯანდაცვის ობიექტები...) ნაკლებობა, სათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, უცხო ენების არცოდნა, მომსახურების დაბალი დონე, ტურიზმის არსაკმარისად რეკლამირება, ადგილობრივი ტურისტული რესურსების ნაკლებად გამოყენება ის ფაქტორებია, რომლებიც ლაგოდების მუნიციპალიტეტში ეკონომიკის დივერსიფიკაციას უშლის ხელს, ეკონომიკურ საქმიანობას ართულებს და ნაკლებად შემოსავლიანს ხდის.

ამოცანა 3 – ტურიზმის განვითარება

ტურიზმის კუთხით მასშინძლობა, არსებული დაცული ტერიტორიები და ეთნიკური მრავალფეროვნება ლაგოდების მუნიციპალიტეტის ძირითადი აქტივებია, თუმცა ინფრასტრუქტურის და ტურისტებისათვის შეთავაზებული სერვისების ნაკლებობა, გასართობი ადგილების ნაკლებობა, და ის, რომ მუნიციპალიტეტი არ არის ჩამოყალიბებული ბრენდად, უარყოფით გავლენას ახდენს ამ პერსპექტიულ საქმიანობაზე. აღნიშნულის გადასაჭრელად საჭიროა ტურისტებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა. ზოგადად, პირველ რიგში უნდა შეიქმნას ლაგოდებში ტურიზმის განვითარების კონცეფცია. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება შეიქმნას საინფორმაციო პორტალი ტურისტებისთვის, სადაც ინფორმაციას მიიღებენ იმის შესახებ თუ სად რისი ნახვა შეუძლიათ.

ამოცანა 4 – გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების რისკისა და ზიანის შემცირება

მეოთხე ამოცანა აერთიანებს გარემოს დაცვასა და სოფლების ტერიტორიების დასუფთავების საკითხებს. ნარჩენების მართვის პრობლემები გვხვდება მათი წარმოქმნიდან განთავსებამდე, ყველა ეტაპზე. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკმარისი რაოდენობის ნაგვის ბუნკერები, სათანადო ნაგავმზიდები; არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელის ტევადობა არ არის საკმარისი არსებული ნარჩენების განსათავსებლად. არსებულ პრობლემებს შორისაა ასევე უპატრონო შინაური ცხოველები (ძაღვები და კატები), მდინარეთა აუზების ცუდი მდგომარეობა (დაბინძურება, წყალდიდობები, ნაპირსამაგრი ნაგებობების არარსებობა...), ქარსაცავი ზოლების ნაკლებობა, საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის და მათზე რეაგირების გეგმების არარსებობა, ინფრასტრუქტურის დაზიანება სეზონური ბუნებრივი მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად.

ამას გარდა, ადამიანის საქმიანობის შედეგად ხდება გარემოს დაბინძურება, რაც იმატებს ტურისტულ სეზონზე. ბინძურდება სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებიც. ხდება ტყის უკანონო ჭრა. ეს პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოს დაცვის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების დაბალ დონესთან. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარების შემთხვევაში მეორეთხე ამოცანა გადაჭრილად ჩაითვლება.

ამოცანა 5 – მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება

ეკონომიკური პრობლემების და ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროების გარდა, არ არსებობს საკმარისი პირობები ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია ისეთი ადგილების დაარსებით, სადაც ახალგაზრდებს ერთმანეთთან ურთიერთობა, სწავლა ან თავისუფალი დროის გატარება შეეძლებათ. ასეთი ადგილების ნაკლებობა (ან არარსებობა) ადამიანების სოციალიზაციის დიდ პრობლემას წარმოშობს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არარსებობა აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს და ასეთი პირების სოციალურ ინტეგრაციას კიდევ უფრო ართულებს.

ოჯახში ძალადობა და ადრეული ქორწინებები კიდევ უფრო ართულებს ცხოვრების პირობებს, განსაკუთრებით კი ქალების შემთხვევაში. ამას გარდა, მაღალია მიგრაციის მაჩვენებელი, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ყველა ამ პრობლემის ერთობლიობა ქმნის არასასურველ საცხოვრებელ პირობებს ქმნის და ცხოვრების ხარისხს აუარესებს.

ამოცანა 6 – LEADER მიდგომის ხელშეწყობა და LAG-ის როლის გაძლიერება

LAG-ი -- ესაა მთავარი ერთეული, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ინტეგრირებულ მიდგომას. ეს არა მხოლოდ სამუშაო ადგილების და შემოსავლის მომტანი შესაძლებლობების შექმნისკენ არის მიმართული, არამედ ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სათემო ურთიერთობები და განვითარება, ადამიანური პოტენციალის განვითარება, ბუნებრივი რესურსების დაცვა, კულტურული ურთიერთობები, სამოქალაქო ინტეგრაცია, სოფლის განვითარება და მმართველობის შესაძლებლობების გაუმჯობესება. ძირითად მიზნებს შორისაა LAG-ის პოპულარიზაცია და განვითარება, LAG-ის საქმიანობის გაფართოება, რის შედეგადაც ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი გადაიქცევა იმ ინსტრუმენტად, რომელიც შესძლებს LEADER მიდგომის ინტეგრირებას სოფლის განვითარების ძირითად მიმართულებებში, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების განხორციელებაში, ასევე LAG-ისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთანამშრომლობით განხორციელებულ პროექტებში.

თავი V – სამოქმედო გეგმა

ამ თავში სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები დაკავშირებულია კონკრეტულ ქმედებებთან, რომლებიც მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით უნდა განხორციელდეს. ღონისძიებები გამოხატავს კონკრეტულ ქმედებებს სტრატეგიული მიმართულების კუთხით და დასახული ამოცანების გადასაჭრელად. ამოცანების, სტრატეგიული მიმართულებებისა და ღონისძიებების განსაზღვრის მეშვეობით შესაძლებელი ხდება სათანადო სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების შემუშავება. თავის მხრივ, ეს ინიციატივები შესაბამისობაში უნდა იყოს სტრატეგიულ მიმართულებებსა და ღონისძიებებთან.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ჩარჩო⁵

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
ამოცანა 1. სოციალური პირობების გაუმჯობესება			
<i>სტრატეგიული მიმართულება 1.1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტისთვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების სისტემის გაუმჯობესება</i>			
1.1.1 თემებში არსებული წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების/განაწილების გეგმის შემუშავება და განხორციელება (მათ შორის სარწყავი წყლის);	მერიას აქვს გრძელვადიანი პრიორიტეტების ჩამონათვალი, სადაც გაწერილია, წლების მიხედვით, სასმელ წყალთან დაკავშირებული რამდენიმე პროექტის შესახებ, თუმცა ერთიანი გეგმა არ არსებობს.	2020 2021	– ლაგ-ი და მერია
1.1.1.1 ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის დაქირავება, რომლებიც დადებენ დასკვნას წყლის რესურსების საერთო მარაგის და სხვადასხვა თემებში საჭირო რაოდენობების შესახებ - განსახილველი ალტერნატივები: ა. დიდი სათავე წყალსაცავების აშენება, რომელიც მუნიციპალიტეტს უზრუნველყოფს; ბ. ლაგოდეხში არსებული ე.წ. ქვევითა ქაბურღილების რეაბილიტაცია, რომლებიც ადრე სამ რაიონს (ლაგოდეხი, სილნაღი, დედოფლისწყარო) ამარაგებდა; გ. შემკრები ნაგებობების და მაგისტრალების მოწყობა, რათა მოხდეს სასმელი წყლის დებეტის რაციონალურად გამოყენება;	- სასმელი წყლის პრობლემების მოგვარებაზე ევროკავშირს აქვს რამდენიმე რეგულაციური პროგრამა, რომელთა შესახებ ინფორმაციას ლაგ-ი მოიძიებს; - შესაძლოა, გასული საუკუნის 80-იანებში შედგენილი გეგმის მოძიება; - მერია/საკრებულოს და ლაგ-ის ძალისხმევით, შესაძლოა ექსპერტების სამუშაო ჯგუფის შექმნა ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროში, ვთქვათ, სტრუქტურული ერთეულის სახით -	2020 2024	- მერია/საკრებულო და ლაგ-ი

⁵ 2018-17 წლებში შედგენილი სტრატეგიის სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები იხილეთ დანართ 3-ში

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადაბი	პასუხისმგებელი
	რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით სასმელი წყლის რესურსების განაწილების გეგმებს დადებს; - შესაძლებელია, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის (მაგ. CENN) შეთავაზება, რომ შესაბამისი პროექტი დაგეგმონ ლაგოდეხზე;		
1.1.1.2 სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროექტების იმგვარად დაგეგმვა, რომ კოორდინაციაში იყოს სარწყავი წყლით მომარაგების პრობლემასთან;	სასმელ წყალთან დაკავშირებული ნებისმიერი პროექტი კოორდინაციაში უნდა იყოს მელიორაციის სამსახურთან	2020 2024	– მერია/საკრებულო და ლაგ-ი
1.1.2 სანიტარულ-ჰიგიენური მოვლა-პატრონობის გეგმის შემუშავება (მაგ. დაქლორვა) და რეგულარულად განხორციელება;			
1.1.2.1 მოხდეს არსებული ინფრასტრუქტურის ნაგებობების მდგომარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მიღების გამოცვლა;		2020 2024	– მერია
1.1.2.2 ძველი მაგისტრალის ჩანაცვლების გეგმის შემუშავება და განხორციელება;		2020 2024	– მერია
1.1.3 ეფექტური ზომების შემუშავება და განხორციელება, რათა მინიმუმამდე დავიდეს სასმელი წყლის სარწყავად გამოყენება, მაგ.: მრიცხველების დაყენება;		2020	მერია
1.1.4 კომპანიისთვის წყლის ტარიფის გამოთვლის ხარჯების დასაბუთების მოთხოვნა და შესაძლებლობის შემთხვევაში წყლის ტარიფის ცვლილების მოთხოვნა შესაბამის სტრუქტურებში;		2020	მერია/საკრებულო და ლაგ-ი

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
1.1.5 გაღაგ-ის მეშვეობით ლაგ-მა მოახდინოს საპარლამენტო კომიტეტთან ლობირება, რომ წყლის მართვა მუნიციპალიტეტს გადაეცეს;		2020 2024	– ლაგ-ი
სტრატეგიული მიმართულება 1.2 საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია			
1.2.1 რწმუნებულებთან კონსულტაციით შიდა გზების რეაბილიტაციის გეგმის შედგენა, დროში გაწერილი პრიორიტეტებით;	ეს პროცესი მიმდინარეობს	2020 2024	– მერია/საკრებულო
1.2.2 ფინანსური ანალიზის განხორციელება, რათა მოხდეს ყოველწლიურად მოხრეშვის ხარჯების (ტენდერის მეშვეობით) შედარება მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალური ტექნიკის შესყიდვასთან შედარებით, რათა მოხდეს გზების მდგრადი რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის მიერ, საკუთარი ძალებით.	კილომეტრის მოხრეშვის ფასი და ტექნიკის ფასის ანალიზი და დასაბუთება გადაეცეს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;	2020	მერია
1.2.3 მუნიციპალიტეტში უსაფრთხო მოძრაობისთვის საჭირო საგზაო ნიშნების მოწესრიგება და სხვა საჭირო ზომების მიღება;		2020 2022	– მერია
1.2.4 საკრებულოში შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ მოძრაობის დასარეგულირებლად საჭირო რეკომენდაციების შემუშავება;	პირველ ეტაპზე მხოლოდ ქალაქ ლაგოდეხზე მუშაობს ასეთი ჯგუფი, რომელიც 2019 წლის ნოემბრის ბოლოს დადებს დასკვას; მომავალში შეიქმნება ჯგუფი მთელი მუნიციპალიტეტისთვის;	2021	საკრებულო
1.2.5 ლაგ-ის მიერ საგზაო დეპარტამენტისთვის საჭიროებების ნუსხის წარდგენა;	ლაგ-ი მოამზადებს კონკრეტული მოთხოვნებით წერილს საგზაო დეპარტამენტისთვის;	2020	ლაგ-ი
1.2.6 ქუჩების განათების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, პრიორიტეტების გათვალისწინებით;		2021	საკრებულო
1.2.6.1 ამორტიზირებული ელექტრო კაბელების, ბოძებისა და ტრანსფორმატორების ნუსხის შედგენა;		2021	საკრებულო

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
სტრატეგიული მიმართულება 1.3 ქუჩების სახელდება და ნუმერაცია			
1.3.1 საკრებულოში შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ ქუჩების სახელდებასთან და ნუმერაციასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;		2020	საკრებულო
1.3.1.1 მოსახლეობასთან შეხვედრები, რათა შეთანხმდეს ქუჩებისთვის სახელების შერჩევა და ნუმერაცია;		2020 წლის აპრილი	საკრებულო
1.3.1.2 გამორჩეული/დამსახურებული ლაგოდეხელების სიის შედგენა ქუჩების სახელდებასთან;	ლაგ-მა შექმნას საინიციატივო ჯგუფები თემებში, რომლებიც თვითონ დაასახელებენ კანდიდატებს;	2020 – 2022	ლაგ-ი
სტრატეგიული მიმართულება 1.4 შიდა და მუნიციპალიტეტამდე მისასვლელი სატრანსპორტო სისტემის განვითარება;			
1.4.1 შეხვედრა კერძო გადაზიდვებთან და მათი წახალისება, რომ ტრანსპორტირების უსაფრთხოება და ხარისხი ამაღლდეს	მძღოლები ე.წ. ატეკას ყოველდღიურად გარკვეულ თანხას უხდიან და გაურკვეველია სანაცვლოდ რა სერვისებს იღებენ;	2020	ლაგ-ი
სტრატეგიული მიმართულება 1.5 მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა			
1.5.1 მუნიციპალიტეტში ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაციის გეგმის შედგენა, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით დროში იქნება გაწერილი და შშმ-ებზე იქნება ადაპტირებული;	2020 წლისთვის მერიას აქვს გეგმა, რამდენიმე ამბულატორიის რეაბილიტაციისთვის და ამ გეგმის მიხედვით იმოქმედებს.		

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
1.5.2 მერიის შესაბამისმა სამსახურებმა მოითხოვონ მედპერსონალის დამატება შესაბამისი უწყებებიდან	მერია რწმუნებულებისგან შეაგროვებს მოთხოვნებს და მიმართავს ჯანდაცვის სამინისტროს;	2020	მერია
1.5.3. სასწრაფო დახმარების მანქანების დამატება-განაწილება	მერია და საკრებულო განიხილავენ საკითს ერთი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მაქნანის დამატებისა და აფენის თემში განთავსების შესახებ. შესაბამისად, საჭირო გახდება აფენის თემში შესაბამისი პუნქტის გახსნა	2020	მერია/საკრებულო
სტრატეგიული მიმართულება 1.6 სანიაღვრე არხების სისტემის გაუმჯობესება			
1.6.1 სანიაღვრე არხების გაკეთების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, პრიორიტეტების გათვალისწინებით (მაგ. განსაკუთრებით აქტუალურია მთის მიმდებარე სოფლებში;)	მერია გეგმას შეიმუშავებს	2020	მერია
1.6.2 ლაგ-ის მიერ გეგმის განხორციელების მონიტორინგი;		2020 2024	– ლაგ-ი
სტრატეგიული მიმართულება 1.7 სოფლის სასაფლაოებზე საბაზისო ინფრასტრუქტურის მოწყობა			
1.7.1 პრიორიტეტების ნუსხის შემუშავება და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა;		2020	ლაგ-ი
1.7.2 სასაფლაოს ელექტროფიკირება, სასმელი წყლითა და საპირფარეშოთი უზრუნველყოფა;		2020 2021	– მერია

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
ამოცანა 2. სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რგოლების განვითარება			
სტრატეგიული მიმართულება 2.1 მუნიციპალიტეტის მასშტაბით სარწყავ წყალზე მოთხოვნის დაკმაყოფილება			
2.1.1 ცენტრალიზებული/კოორდინირებული სარწყავი სისტემის გეგმის შემუშავება, თითოეული თემის საჭიროების გათვალისწინებით;			
2.1.1.1 სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიძლება მოძიებული იქნას მელიორაციის კვლევა/გეგმა, რომელიც 80-იანებში ჩატარდა;		2020	ლაგ-ი
2.1.1.2 ლაგ-მა პროექტულად დაიქირავოს ექსპერტები და რაციონალური განაწილების გეგმა შეადგინოს და მელიორაციას გადასცეს, ვთქვათ 10 წლიანი გეგმა.	ერთ-ერთი ალტერნატივა შეიძლება იყოს დიდი წყალსაცავების აშენება, რომელიც ნაწილობრივ დააკმაყოფილებს როგორც სასმელი და ასევე, სარწყავი წყლის საჭიროებებს. ამავე დროს, შეასრულებს ხელოვნური ტბის ფუნქციას (ტურისტული ატრაქცია);	2020 2024	– ლაგ-ი
2.1.2 მელიორაციის სამსახურთან მჭიდრო კოორდინაციის მიღწევა, რათა მათი საქმიანობის წლიური გეგმის შედგენისას მჭიდრო კოორდინაციაში იყვნენ მუნიციპალიტეტთან;	მერია აქვს უკვე გარკვეული კოორდინაცია	2020 2024	– მერია
2.1.3 მუნიციპალიტეტის იმგვარი რუკის შედგენა, სადაც მკაფიოდ იქნება აღნიშნული რომელი სარწყავი არხი ეკუთვნის მელიორაციის სამსახურს და რომელი მუნიციპალიტეტს;		2020 2021	– მერია/საკრებულო
2.1.4 რეგულარულად დაიგეგმოს და გაკეთდეს საკოორდინაციო შეხვედრები;		2020 2024	– მერია/საკრებულო
სტრატეგიული მიმართულება 2.2 მუნიციპალიტეტში სასაწყობო, შემფუთავი და გადამამუშავებელი (მაგ.			

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
საკონსერვო) მომსახურებების/საწარმოების განვითარების ხელშეწყობა;			
2.2.1 არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ინფორმაციის ეფექტურად გავრცელება და მსურველებისთვის ბიზნეს გეგმის შედგენაში დახმარების გაწევა;		2020 2024	– ლაგ-ი
2.2.1.1 მოსახლეობის ინფორმირების დეტალური გეგმის შემუშავება და გავრცელება;		2020	ლაგ-ი
2.2.1.2 მსურველებისთვის ბიზნეს გეგმის შედგენაში დახმარების გასაწევად გრძელვადიანი მექანიზმის შემუშავება და განხორციელება;	ლაგ-ი განიხილავს სხვადასხვა მექანიზმების შექმნა, მაგ. ზრდასრულთა გადამზადების ცენტრის შექმნა ან/და რაიმე სხვა პროექტული მექანიზმი, დონორული დაფინანსებით	2020 2024	– ლაგ-ი
2.2.2 მსხვილი ბიზნეს გეგმების/საინვესტიციო პაკეტების მომზადება და მერიისთვის გადაცემა, რათა ეფექტურად მოხდეს ინვესტიციის მოძიება;		2020 2024	– ლაგ მუნიციპალი-ტეტი ერთად
სტრატეგიული მიმართულება 2.3 სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტურად დასაგეგმად ფერმერებისთვის საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდება			
2.3.1 გასაღების ბაზრის პოტენციალის შესახებ ფერმერების ინფორმირება;			

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
2.3.1.1 სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მეშვეობით მოთხოვნის ბაზრის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად შეგროვება და ადგილობრივი ფერმერებისთვის მიწოდება;		2020 2024	- მერია/საკრებულო და ლაგ-ი
2.3.1.2 სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, სადაც მარკეტინგული კვლევები ტარდება, ლაგოდეხის ჩართვა (მაგ. ილიას უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ატარებენ სხვადასხვა მარკეტინგულ კვლევებს);		2020 2024	- ლაგ-ი
2.3.2 ფერმერებისთვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება ექსპორტის პოტენციალის შესახებ, რათა დაგეგმონ რა პროდუქტი მოიყვანონ, რამდენი და როგორ;	ლაგ-ი შეეცდება დონორული დაფინანსების მოპოვებას, რათა მოიპოვოს და რეგულარულად განაახლოს ინფორმაცია	2020 2024	- ლაგ-ი
2.3.3 ნიადაგის ბიო-ქიმიური ანალიზის ჩატარებაზე ფერმერთა ხელმისაწვდომობის გაზრდა;			
2.3.3.1 შესაბამის სამინისტროებთან ლობირების კამპანიის ჩატარება მობილური მინი ლაბორატორიის ლაგოდეხში შემოტანის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფერმერთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;		2020 2024	- ლაგ-ი, მერია/საკრებულო
2.3.4 ევროპულ ლაგ-ებთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნეს პროექტების ერთობლივი განხორციელება;		2020 2024	- ლაგ-ი
სტრატეგიული მიმართულება 2.4 მუნიციპალური მიწებისა და ქონების ინვენტარიზაცია, აღწერა, დარეგისტრირება და საიჯაროდ მომზადება			
2.4.1 ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების გეგმის შედგენა (მუნიციპალიტეტის ქონებისა და მიწის ინვენტარიზაცია);			

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
2.4.1.1 აღწერილი ქონების მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოტანა;	მიმდინარეობს	2020	მერია/საკრებულო
2.4.1.2 საიტარო დოკუმენტაციის მომზადება	მიმდინარეობს	2020 2024	– მერია
2.4.2 სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმის შემუშავება;		2020 2022	– მერია
2.4.2.1 მერია, საკრებულო და მაჟორიტარი ერთობლივად შეეცდებიან ეკონომიკის სამინისტრო დაარწმუნონ ამ გეგმის შედგენის დაფინანსებაში		2020 2022	– მერია/საკრებულო
2.4.3 პრობლემური საძოვრების აღრიცხვისა და იჯარით გაცემის პროცესის მონიტორინგი	ლაგ-ის მიერ მონიტორინგის მთავარი მიზანი არის, რომ იჯარით გაცემისას არ დაირღვეს ადგილობრივი მაცხოვრებლების უფლებები	2020 2024	– ლაგ-ი
ამოცანა 3. ტურიზმის განვითარება			
სტრატეგიული მიმართულება 3.1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება			
3.1.1 ქ. ლაგოდეხში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა;		2020	მერია - ტურიზმის სამსახური

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
3.1.2 საინფორმაციო პორტალი შეიქმნას ტურისტებისთვის, სადაც ინფორმაციას მიიღებენ სად რისი ნახვა შეუძლიათ;			
3.1.2.1 ლაგ-მა გააკეთა საიტი: visitlagodekhi.ge – განახლება მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;		2020	ლაგ
3.1.3 კულტურული და ისტორიული ობიექტების ბაზის შექმნა;		2021	მერიის ტურიზმის სამსახური/ ლაგ-ი
3.1.4 როგორც ტურისტების მოსაზიდად, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზებისთვის ლაგოდეხის, როგორც ტურისტული მიმზიდველობის კონცეფციის და ბრენდის შექმნა - სადაც თითოეული პროდუქტის ბრენდირებაზე იქნება გეგმა;		2020 2023	– მერიის ტურიზმის სამსახური და ლაგ-ი
3.1.5 ტურიზმის განვითარების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმის შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს ეფექტური თანამშრომლობა სხვადასხვა ტურისტულ სააგენტოებთან;		2020	მერიის ტურიზმის სამსახური
სტრატეგიული მიმართულება 3.2 მსხვილი ტურისტული ატრაქციების აშენება და არსებულის გაუმჯობესება			
3.2.1 მუნიციპალიტეტში შემუშავდეს მსხვილი ტურისტული ატრაქციების განვითარების კონცეფცია და დამტკიცდეს გრძელვადიანი გეგმა;	კონცეფციაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის დასაფინანსებლად ლაგ-ი შეეცდება დონორული დაფინანსების მოპოვებას	2020 2021	– მერია/საკრებულო და ლაგ-ი
3.2.2 ქ. ლაგოდეხის ტყე-პარკის რეაბილიტაცია და განვითარების გეგმის მომზადება, მაგ. თანამედროვე ატრაქციონების გაკეთება და სხვ.	ტოპო გეგმა ლაგ-მა უკვე გააკეთა	2020 2021	– მერია/საკრებულო
3.2.3 სტანდარტების შესაბამისად ტურისტული ბილიკების მარკირება;		2020	დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	ვადები	პასუხისმგებელი
3.2.4 ხის კენწეროების ბილიკის გაკეთება;		2020	მერია/ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია
3.2.5 მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია/განვითარება		2020-2021	მერია
3.2.6 ძველი ეკლესიების, ძველი სამარხების, მეღვინეობის ადრეული კერების, გოგირდის აბანოების ან სხვა ისტორიულ-კულტურული ობიექტების გადაქცევა ტურისტულ მიმზიდველობებად, საბაზისო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით;			
3.2.6.1 არსებული და პოტენციური კულტურ-ისტორიული ობიექტების ნუსხის შედგენა, კულტურული ძეგლების შესახებ ლეგენდების გაცოცხლება/შექმნა და გავრცელება;		2020 2024	– მერიის შესაბამისი აიპი
3.2.6.2 ლაგ-ის მიერ ეკლესიების აღდგენაზე ევროკავშირის დაფინანსების მოპოვება და გაცემა;		2020 2024	– ლაგ-ი
3.2.7 მრავალფუნქციური ხელოვნური ტბის გაკეთება (წყალსაცავი სასმელი და სარწყავი წყლისთვის და ამავე დროს, რეკრიაციული/ტურისტული ობიექტი;			
3.2.7.1 კონცეფციის და პროექტის მომზადება და ლობირება შესაბამის უწყებებში, რათა აქტუალური გახდეს და დღის წესრიგში დადგეს;		2020 2022	– ლაგ-ი
3.2.8 მაჭის ციხეზე საცალფეხო ხიდის ბილიკის კონცეფციის მომზადება		2020 2022	- ლაგ-ი და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

ამოცანა, სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები	შენიშვნები/კომენტარები	წლები	პასუხისმგებელი
3.2.9 ველობილიკის გაკეთება, რომელიც ტყე-პარკს დააკავშირებს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან;		2020 - 2022	მერია
3.2.10 ბიპლანის კონცეფციის შემუშავება, ადგილის შერჩევა და განხორციელების გეგმის შედგენა;		2020 - 2022	ლაგ-ი და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია
3.2.11 ალკვეთილში ან/და ალაზნის ველზე საცხენოსნო ტურიზმის (ჭიაურის ტყე) განვითარების კონცეფციის შექმნა და განხორციელების გეგმის დამტკიცება;			ლაგ-ი და მერია
3.2.11.1 ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კონცეფციისა შემუშავება		2020 - 2021	ლაგ-ი
3.2.12 მუნიციპალიტეტისთვის ახალი, კრეატიული იდეებისა და შესაბამისი კონცეფციების შეთავაზება, მაგ. მთებში სირბილი ან მოლაშქრეთა ფესტივალი მთებში და სხვ.;		2020	მერიის შესაბამისი აიპი
<u>გაყიდვები და მარკეტინგის საქმიანობა</u> - რეკლამირება და გაყიდვების ხელშეწყობა - გავრცელება / გაყიდვები	ჯამში 8 ქულა - 3 ქულა - 5 ქულა
<u>წარმოების გეგმა</u> - წინასწარი სამუშაოების გრაფიკი და შესყიდვების გეგმა - წარმოების გრაფიკი - საწარმოო პროცესების ტექნოლოგიური რუკა - საწარმოო მოცულობასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალები - ნედლეული და მარაგები - პერსონალი - კონკრეტული ჯგუფები - სამიზნე არეალი	ჯამში 18 ქულა - 2 ქულა - 2 ქულა - 2 ქულა - 2 ქულა - 2 ქულა - 2 ქულა - 4 ქულა - 2 ქულა
<u>კავშირი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან</u>	ჯამში 4 ქულა
<u>ბიზნესის მდგრადობა</u>	ჯამში 8 ქულა
<u>გარემოზე ზემოქმედება</u>	ჯამში 7 ქულა
<u>ფინანსური გეგმა და ინვესტიციის შეფასება</u> - მოგება-ზარალის უწყისი - ფულადი სახსრების ბრუნვა - საბალანსო უწყისი - პროექტის ბიუჯეტი - ხარჯების ანალიზი და მოგების მარჟა	ჯამში 25 ქულა - 5 ქულა - 5 ქულა - 5 ქულა - 5 ქულა - 5 ქულა
<u>სულ</u>	100 ქულა

პროექტის შერჩევის დეტალური კრიტერიუმები და პრინციპები იხ. დანართში 10.

დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურები

განმცხადებლის მიერ ნაბეჭდი განაცხადის პირადად წარდგენის შემთხვევაში განაცხადს მიენიჭება რეგისტრაციის ნომერი. განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შევსებული განაცხადის ფორმა, სხვა აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად. თუ განმცხადებელი ერთზე მეტ განაცხადს წარადგენს, თითოეული განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს ცალკე. განაცხადის ნაბეჭდი ვერსიის წარდგენა უნდა მოხდეს დალუქულ კონვერტში ან გაიგზავნოს კერძო კურიერის მეშვეობით მითითებულ მისამართზე.

განმცხადებლის მიერ წარდგენილი განაცხადის კონვერტზე უნდა მიეთითოს განმცხადებლის სახელი, გვარი და მისამართი. საპროექტო განაცხადის სრული პაკეტი, ასევე სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად CD-ROM-ით, რამდენიმე ან ერთ მთლიან ფაილად (არ არის აუცილებელი განაცხადის ფორმის დაყოფა ფაილად). პროექტის განაცხადის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ნაბეჭდი ვერსიის იდენტური.

განაცხადების წარდგენის ვადა

განაცხადების წარდგენის ვადას ადგენს LAG-ის საბჭო. წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი განაცხადი ავტომატურად იქნება უარყოფილი.

8. დამატებითი ინფორმაცია განაცხადების შესახებ

დაინტერესებულ პირებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები შეუძლიათ იხილონ შემდეგ ვებგვერდებზე: <http://care-caucasus.org.ge>; www.lagodekhilag.ge ; www.enpard.ge

განაცხადებთან დაკავშირებით შეკითხვები შეგიძლიათ პირდაპირ გააგზავნოთ ქვემოთ წარმოდგენილ ელ-ფოსტის მისამართზე. გთხოვთ, საგნის ველში მიუთითეთ 'საგრანტო კონკურსი'. ელექტრონული ფოსტის მისამართი: nino.uglava@care.org.ge , ან დაუკავშირდით პროექტის ტექნიკურ კოორდინატორს, ბ-ნ მალხაზ ტალახაძეს, შემდეგ ნომერზე 577 77 65 22

დანართები:

- 27. პროექტის იდეის განაცხადის ფორმა
- 28. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიული მიმართულებები
- 29. ხშირად დასმული შეკითხვები.

დანართი №1

2017-2018 წლებში შედგენილი სტრატეგიის მეთოდოლოგია

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოსავლენად მათთან ინტენსიური კონსულტაციები გაიმართა. კონსულტაციების პროცესი მოიცავდა საჯარო ღონისძიებებისა და შეხვედრების სერიას, რომლებიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების ყველა ეტაპზე PRD პროექტის გუნდი აქტიურად თანამშრომლობდა ლაგოდების LAG-ის საერთო კრებასა (გენერალური ასამბლეა) და მმართველ საბჭოსთან.

ლაგოდების ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ასევე შემდეგი დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია:

- კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია
- ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები (2016-2018)
- სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020
- სოფლის განვითარების ხედვა, რომელიც FAO-ს მხარდაჭერით მომზადდა
- საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2015-2025
- ლაგოდების დაცული ტერიტორიების სტატისტიკური მონაცემები.

მოხდა ზემოაღნიშნული დოკუმენტების ანალიზი, იმის გადასამოწმებლად, რომ ლაგოდების განვითარების სტრატეგიაში წარმოდგენილი ამოცანები და პრიორიტეტები შეესაბამება რეგიონის და ეროვნულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის გამოყენებული მიდგომა მოიცავს შემდეგ ოთხ ძირითად ფაზას:

ადგილობრივი პრობლემების გამოსავლენად, პირველ ფაზაში გაიმართა გასვლითი ღონისძიებები ლაგოდების მუნიციპალიტეტის ყველა, 67-ივე სოფელში. აღნიშნული საველე გასვლები 2015 წლის 15 სექტემბერიდან 23 ოქტომბრამდე მოეწყო. საველე გასვლების მეორე რაუნდი განხორციელდა 2017 წლის დეკემბერში და 2018 წლის

იანვარში, თემებში არსებული პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის განახლების მიზნით.

მეორე ფაზაში სავსელე გასვლებისას შეგროვებული ინფორმაცია იმგვარად დამუშავდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა. კერძოდ, სოფლებში ვიზიტისას სულ გამოვლინდა 50 პრობლემა, რომლებიც დაჯგუფდა შემდეგ 5 კატეგორიად:

- 1 გარემოს დაცვა
- 2 სოციალური/ახალგაზრდობა
- 3 სოფლის მეურნეობა
- 4 ინფრასტრუქტურა
- 5 ტურიზმი
- 6 დაუმართო ცოდნის/ინფორმაციის ნაკლებობა

ამის შემდეგ, საერთო კრების წევრებს ეთხოვათ, გამოვლენილი პრობლემები შეეფასებინათ 0-იდან ('უმნიშვნელო') 10-მდე ('უაღრესად მნიშვნელოვანი') შკალის მიხედვით. ამ დავალების მიზანი იყო პრობლემების რანჟირება მათი მნიშვნელობის მიხედვით და დადგენა, თუ რომელი მათგანია ყველაზე მეტად პრიორიტეტული ზოგადად, ასევე სხვადასხვა ჯგუფებისათვის, როგორიცაა გენდერული ჯგუფები (მამაკაცი/ქალი) და დასაქმების სექტორის (ბიზნესი/საზოგადოებრივი/სახელმწიფო სექტორები) მიხედვით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სიტუაციის გასაუმჯობესებლად განისაზღვრა 4 კონკრეტული ამოცანა, ხოლო მათ საფუძველზე გამოიკვეთა ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც ამ ამოცანების გადაჭრის გზებს წარმოადგენს. გამოვლენილი 50 პრობლემა დაჯგუფდა ცხრა სტრატეგიული მიმართულების ქვეშ, რომლებიც, თავის მხრივ, სამ ზოგად ამოცანას დაუკავშირდა და ხუთ თემატურ კატეგორიას (გარემოს დაცვა, სოციალური/ახალგაზრდობა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, ტურიზმი) მოიცავს. ამას გარდა, განისაზღვრა მეოთხე, 'დამხმარე' ამოცანაც - „LAG-ის გაძლიერება“, რისი საშუალებითაც შესაძლებელია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელება, მუნიციპალური განვითარების პროცესის მხარდაჭერა და პირველი სამი ამოცანის გადაჭრის პროცესის ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე ამოცანაც, თავის მხრივ, სამ სტრატეგიულ მიმართულებას მოიცავს. რომ შევაჯამოთ, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისთვის სულ შემუშავებული იქნა ოთხი ამოცანა - სამი თემატური და ერთი დამხმარე. ისინი ჯამში 12 სტრატეგიულ მიმართულებას აერთიანებენ.

მიზნები და ამოცანები შემუშავდა ვერტიკალური (ქვემოდან ზემოთ) მიდგომის გამოყენებით: ჯერ განისაზღვრა პრობლემები, ხოლო მათი გათვალისწინებით დაისახა ოთხი ამოცანა. ამოცანების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო ევროკავშირის მიერ დადგენილი სოფლის განვითარების ოთხ ძირითად მიმართულებასთან მათი

შესაბამისობის საჭიროება. თითოეული ამოცანა ასახავს ერთ მიმართულებას, სამ თემატურს, ერთი კი -- დამხმარეა. თითოეული ამოცანისათვის სტრატეგიული მიმართულებები იმგვარად შეირჩა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დიაგნოსტიკის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისთვის განისაზღვრა შემდეგი ამოცანები

- 1 სოფლის მეურნეობისა და სატყეო სფეროს კონკურენტუნარიანობის ამაღლება
 - შესაბამის პრობლემებზე მომუშავე ჯგუფი – სოფლის მეურნეობა & ინფრასტრუქტურა
 - 2 გარემოსა და სოფლების ტერიტორიის მდგომარეობის გაუმჯობესება;
 - შესაბამის პრობლემებზე მომუშავე ჯგუფი – გარემოს დაცვა & ინფრასტრუქტურა
 - 3 სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
 - შესაბამის პრობლემაზე მომუშავე ჯგუფი – სოციალური/ახალგაზრდობა & ინფრასტრუქტურა & ტურიზმი
4. LEADER მიდგომისა ხელშეწყობა და LAG-ის როლის გაძლიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემების კლასიფიკაცია შეიცვალა იმისათვის, რომ უფრო მარტივად მომხდარიყო მათი ლოგიკურად დაკავშირება სათანადო გადაჭრის გზებთან. ტურიზმისა და სოციალური/ახალგაზრდობის პრობლემატიკა გაერთიანდა და მესამე სტრატეგიულ მიმართულებაში იქნა შეტანილი. ამას გარდა, ინფრასტრუქტურა „შენყვილდა“ სხვა ჯგუფებთან, ვინაიდან ძნელია მისი გამოყოფა სხვა თემატიკიდან: ინფრასტრუქტურული პრობლემების დიდი ნაწილი დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, ტურიზმთან, ან სოციალურ საკითხებთან და პირიქით, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სოციალური საკითხები შეუძლებელია სათანადო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემატიკისგან განყენებულად განვიხილოთ.

ამოცანებისა და სტრატეგიული მიმართულებების დადგენის შემდეგ, თითოეული სტრატეგიული მიმართულებისათვის (სტრატეგიული ხაზისათვის) შემუშავდა ინდიკატორები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესის გაზომვა. თითოეული სტრატეგიული მიმართულებისათვის შემოღებული იქნა ორიდან-ექვსამდე ინდიკატორი, რომლებიც გვიჩვენებს, თუ 'რა უნდა იქნას მიღწეული' კონკრეტული სტრატეგიული მიმართულების შემთხვევაში.

მეოთხე ფაზაში, LAG-ის საერთო კრება და მმართველი საბჭო უფრო აქტიურად ჩაერთო წინა ფაზებზე გამოვლენილი და კლასიფიცირებული პრობლემებისა და სტრატეგიული მიმართულებების (პრიორიტეტების) რანჟირებაში. ვინაიდან სტანდარტული მეთოდის შედეგად მეორე ფაზაში ბუნდოვანი შედეგები მივიღეთ, პრობლემების პრიორიტეტულობის დასადგენად ინოვაციური მიდგომა იქნა გამოყენებული. კერძოდ, რესპონდენტებმა იმუშავეს წყვილებად და შეადარეს პრობლემები, იმისათვის, რომ უფრო გაცნობიერებულად შეერჩიათ ყველაზე აქტუალური პრობლემები. პრობლემების რანჟირებისათვის გამოვიყენეთ ორი ტიპის დავალება: პირველი და უფრო რთული დავალება განკუთვნილი იყო საბჭოსა და პროექტის ტექნიკური გუნდისათვის; ხოლო მეორე, რანჟირების უფრო სტანდარტული მეთოდი LAG-ის საერთო კრებისთვის იქნა გამოყენებული. კერძოდ, რანჟირების პირველი მეთოდი ითვალისწინებდა 12 სტრატეგიული მიმართულებიდან და 4 ამოცანიდან პრიორიტეტულების შერჩევას, ხოლო მეორე მეთოდი გულისხმობდა პრიორიტეტების გამოვლენას თითოეული სტრატეგიული მიმართულების შიგნით. პრიორიტეტების საბოლოო ჩამონათვალის მისაღებად კი შეჯამდა ორივე დავალების შედეგები.

დანართი №2

2017-2018 წლებში გამოვლენილი პრიორიტეტული სფეროების „სვობ“ ანალიზი

გარემო

ძლიერი მხარეები: * ბუნებრივი ლანდშაფტი, დაცული ტერიტორიები (ეროვნული პარკი), დიდი ბიომრავალფეროვნება * გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები * ეკო-ტურიზმის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები * შესაბამისი ადამიანური რესურსის და მოხალისეთა რესურსის არსებობა * ჰიდროლოგიური რესურსები და ინფრასტრუქტურა, მათ შორის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი წყლები/წყაროები, ბუნებრივი წყაროები, ქაბურღილები * ბანაკების არსებობა * მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე * სახელმწიფო საზღვარსა და მეზობელ ქვეყანასთან სიახლოვე * ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების პოტენციალი * ნაყოფიერი ნიადაგი * გეოგრაფიული მდებარეობა	სუსტი მხარეები: * ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების არარსებობა და გარემოს დაბინძურება * მიუსაფარი ცხოველებისა და გარეული ცხოველების საკითხებზე მომუშავე პირებისა და ორგანიზაციების ნაკლებობა * ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების და აქტიურობის დაბალი დონე * საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმის არარსებობა (ბუნებრივი კატასტროფებისათვის) * ტყეების და ქარსაცავი ნარგავების უკანონო ჭრა * შეშის ნაკლებობა * ნაპირდამცავი ნაგებობები, ნატანი * ენერგორესურსების არარსებობა * ნარჩენების მართვის არასათანადო მეთოდები, ლიცენზირებული ნაგავსაყრელების და ნაგვის ბუნკერების არარსებობა, გარემოს დაბინძურება * ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ქუჩების უნებართვოდ დავიწროება * ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია * ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელშემწყობ ღონისძიებათა არარსებობა * დაზიანებული საირიგაციო და სადრენაჟე სისტემები
შესაძლებლობები: * ნარჩენების მართვის მეთოდებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: სპეციალური ნაგავმზიდების და ნაგვის ბუნკერების შესყიდვა, გადასახადის დაწესება ნარჩენებზე, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვა, სათანადო ნაგავსაყრელების მოწყობა, ჯარიმების დაწესება გარემოს დაბინძურების გამო * უპატრონო შინაურ ცხოველებსა და გარეულ ცხოველებზე (თავდასხმის	საფრთხეები: * ბუნებრივი კატასტროფები, მათ შორის, მეწყრები და წყალდიდობები * ცოფის რისკი * ინფექციური დაავადებების გავრცელების, მაღარი რისკი * ეკო-ტურიზმის პოტენციალის დაკარგვა * გვალვები * არასაკმარისი დაფინანსება მუნიციპალიტეტი მხრიდან * ადგილობრივი საჭიროებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება

შემთხვევაში) ზრუნვის სამსახურების შექმნა * საკანალიზაციო ინფრასტრუქტურისა და სერვისის სათანადო ფუნქციონირება * გარემოსდაცვითი საკითხების მართვაში შესაბამისი მუნიციპალური და ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდობისა და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა * ტყეების დაცვა და ნარგავების გაშენება * გაზომარაგების ინფრასტრუქტურის მოწყობა ბუნებრივი რესურსების დაცვის მიზნით * ტროტუარების მოასფალტება * საზოგადოების ცნობიერების ამაღლება * რეგიონული განვითარების შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის მომზადება * სარწყავი/სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაცია	* ტყის გამეჩხრება * გადატვირთული საგზამო მოძრაობის შედეგად გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევები * მცენარეთა დაავადებები * უკანონო ძოვება * გარემოს დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურება * ეროზია
--	---

პრობლემის გადაჭრის გზები

გარემოს დაცვის სფეროსათვის ზემოთ მოცემული SWOT ანალიზის გათვალისწინებით რეკომენდირებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის საკითხებზე და მისი ჩართულობა პრობლემების მოგვარებაში/ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; საინფორმაციო სემინარების მოწყობა გარემოს დაცვის საკითხებზე;
- თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ასევე აღნიშნულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სპეციალისტებთან;
- ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და დაფინანსების მოძიება მათ განსახორციელებლად;
- ადგილების მოძიება სათანადო ნაგავსაყრელების მოსაწყობად, ნარჩენების უკანონოდ განთავსების აღკვეთა, ნაგვის ბუნკერებისა და ნაგავმზიდების შექმნა, ჯარიმების დაწესება გარემოს დაბინძურებისათვის;
- თავშესაფრის მოწყობა უპატრონო შინაური ცხოველებისათვის; ისეთი სამსახურების ჩამოყალიბება, რომლებიც აღკვეთავენ უპატრონო შინაური და გარეული ცხოველების თავდასხმებს; პირველი დახმარებისა და სანიტარული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

- გარემოს დაცვისა და მონიტორინგის მიზნით მობილური ჯგუფის ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტის მასშტაბით; ბუნებრივი საფრთხეების და ინციდენტების თავიდან აცილებისა და შეტყობინების სამოქმედო გეგმის მომზადება.
- გაზომარაგების სისტემის მოწყობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ტყის უკანონო ქრა შეშის მოპოვების მიზნით.

ახალგაზრდობა / სოციალური / გენდერული / მონეზლადი ჯგუფები

ძლიერი მხარეები:

- * ადამიანური რესურსის არსებობა, მოტივირებული, კვალიფიციური და გონიერი ახალგაზრდები
- * ტრადიციები და ურთიერთობები
- * თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის
- * კონფლიქტის არარსებობა ადგილობრივ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის
- * მოსახლეობის შრომისმოყვარეობა
- * სამოქალაქო აქტიურობა
- * სპეციალური სახელმწიფო პროგრამები
- * არსებული პარკები და სტადიონები
- * შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები
- * ინტერნეტის ხელმისაწვდომობა
- * არსებული კულტურის ცენტრი
- * საავადმყოფოს არსებობა
- * საგანმანათლებლო ცენტრები
- * არსებული ურთიერთობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და სათემო ორგანიზაციებს შორის

სუსტი მხარეები:

- * ალტერნატიულ ფინანსურ სახსრებზე წვდომის არქონა
- * სამუშაო ადგილების არასაკმარისი რაოდენობა
- * სუსტი თანამშრომლობა მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სათემო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის
- * შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა არარსებობა, მიტოვებული სოფლები
- * ოჯახში ძალადობა
- * სპორტული მოედნების, გასართობი/ /სპორტული კლუბების, სოციალური ღონისძიებების ადგილების, ახალგაზრდული ცენტრების არასაკმარისი რაოდენობა
- * ზოგიერთ სოფელში საბავშვო ბაღის არარსებობა
- * გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, გენდერული დისბალანსი
- * არასამთავრობო ორგანიზაციების დაბალი აქტიურობა
- * სამედიცინო დაწესებულებებისა და აფთიაქების არარსებობა ზოგიერთ სოფელში
- * საგანმანათლებლო ცენტრებში გაუმართავი ინფრასტრუქტურა
- * სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის დაბალი დონე და მათ მიმართ ნდობის დაბალი მაჩვენებელი
- * ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდული ბიუჯეტი
- * საწარმოების, მათ შორის, სოციალური საწარმოების, არარსებობა
- * საგანმანათლებლო კურსების არარსებობა
- * საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრების არარსებობა
- * ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე
- * მიგრაცია და უმუშევრობა
- * კულტურის ცენტრების ნაწილი არ ფუნქციონირებს
- * საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა

	* ზრდასრული მოსახლეობის პასიურობა, ახალგაზრდების მხრიდან ნაკლები ინიციატივა * კომუნიკაციის ნაკლებობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის
შესაძლებლობები:	საფრთხეები:
* ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით შესაბამისი პროგრამების მომზადება * არსებული რესურსის მობილიზება * საზოგადოების მობილიზება ადგილობრივი საჭიროებების საპასუხოდ, აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში * საფუძვლიანი კრიტიკა და მოსაზრებების გაზიარება * აქტიური სამოქალაქო ჯგუფები / ახალგაზრდები, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება * სახელმწიფო პროგრამების ქმედითად განხორციელება * მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება * თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ურთიერთობები დონორ ორგანიზაციებთან და კერძო კომპანიებთან * სპორტული მოედნების მოსაწყობად სივრცის არსებობა * CARE საერთაშორისო კავკასიის რეგიონში არსებობა * საგრანტო კონკურსები * ქართული ენის შემსწავლელი ცენტრების შექმნა * ინფრასტრუქტურის განვითარება, ინსტრუქტორების დაქირავება * პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება * პარკების მოწყობა; საბავშვო ბაღების და კულტურის ცენტრების რეაბილიტაცია; * მცირე ბიზნესისა და დასაქმების ხელშეწყობა	* გულგრილი/ინდიფერენტული დამოკიდებულება * პოლიტიკური არასტაბილურობა * მიგრაცია და უმუშევრობა * უიმედობის განცდა * ფინანსური რესურსის სიმწირე/უქონლობა * ადრეული ქორწინებები * ოჯახში ძალადობა * ბუნებრივი კატასტროფები * გულგრილობა მუნიციპალიტეტის და ბიზნეს სექტორის მხარდამჭერის მიმართ * ახალგაზრდებისათვის განვითარების შესაძლებლობების სიმწირე * ჯანსაღი ცხოვრების წესის არარსებობა * დაფინანსების ნაკლებობა

პრობლემის გადაჭრის გზები

სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებასთან დიალოგი და აქტიური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას. კერძოდ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შესაძლებელია დიალოგის გამართვა სტადიონებისა და სოფლის კლუბების მოწყობის, ასევე კულტურის ცენტრების საკუთრების და რეაბილიტაციის საკითხების შესახებ. ასევე, სასურველია დიალოგის წარმართვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან (საწარმოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება) სოციალური საწარმოების დაარსებასთან დაკავშირებით; ამას გარდა, სასურველია ადგილობრივ ბიზნეს-კომპანიებთან კონსულტაციების გამართვა აფთიაქების გახსნის ხელშესაწყობად.

დღის წესრიგში შეტანილი იქნა სახსრების მოზიდვა ახალგაზრდების ხელშეწყობი საქმიანობისათვის, ასევე ახალგაზრდული და ადგილობრივი განვითარების პროექტების შემუშავება. სხვა საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად (როგორცაა უნარ-ჩვევების განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლება) შესაძლებელია აღნიშნულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვაც. არაფორმალური სოციალური ჯგუფების, კლუბების, საბჭოების შექმნა და ქალთა როლის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ხელს შეუწყობს ზოგად განვითარებას.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მათი სოციალური ცხოვრების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით საჭიროა ინფრასტრუქტურის ადაპტაციის ღონისძიებების გატარება.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის იზრდება მოთხოვნა ქართული ენის კურსებზე, და ამასთან დაკავშირებით საჭიროა დიალოგის წამოწყება განათლების სამინისტროსთან.

სოფლის მეურნეობის სექტორი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
* ნაყოფიერი ნიადაგი * სასმელი წყლის არსებობა * კვალიფიციური თანამშრომლები, შრომითი რესურსი, გამოცდილება * საირიგაციო სისტემა/ქალაქში არსებული მილსადენი * ხელსაყრელი კლიმატური პირობები * სადაზღვევო კომპანიების არსებობა * სახელმწიფო დაფინანსება * პროგრამებში ჩართულობა * სარწყავი წყლის რესურსი * ღვინის წარმოება	* წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების ცუდი მდგომარეობა * სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებში არ არის საირიგაციო სისტემა (საირიგაციო წყალმომარაგების სისტემის სათავე ნაგებობა მწყობრიდან არის გამოსული) * სასოფლო გზები ცუდ მდგომარეობაშია * საწყობების და საცავ-მაცივრების არარსებობა * თესლეულის არასაკმარისი რაოდენობა * ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო ფინანსური რესურსების ნაკლებობა * საზიარო ღობეები მეზობელ მიწის ნაკვეთებს შორის * თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის/ტექნოლოგიების და შესაბამისი ცოდნის სიმწირე/არარსებობა * არასტაბილური ბაზარი * სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მცირე საწარმოების არარსებობა * ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები * არ არსებობს ნიადაგის ანალიზის ლაბორატორია * ფერმერთა კოოპერატივები სუსტია * ქარსაცავი ნარგავების სიმწირე/არარსებობა * სანდო სადაზღვევო სისტემის არარსებობა * მცენარეთა/ცხოველთა დაავადებების გავრცელება * ბუნებრივი კატასტროფები

	* რესურსის ნაკლებობა მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად * სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები * ღვინის ქარხნის არარსებობა * საძოვრების სიმწირე * მიწის ნაკვეთები არ არის პრივატიზებული * მიწის ნაკვეთების დაბინძურება * პესტიციდების სიძვირე * ვეტერინარული მომსახურებისა და პირუტყვის სელექციის არარსებობა
შესაძლებლობები: * მიწის ნაკვეთების ნაყოფიერება * საირიგაციო წყლის არსებობა * საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია * მშრალი სუბტროპიკული ზონის ხელსაყრელი კლიმატი * სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ფერმები * გამოცდილი თანამშრომლები * არსებული ბუნებრივი რესურსი * საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა * სასოფლო-სამეურნეო მიწების რესურსი * თხილის ნარგავები * ხეხილის ბაღები * ხილის/ბოსტნეულის საშრობი ქარხნები * კანონმდებლობაში/რეგულაციაში უახლესი ცვლილებები, რომლებიც გამოუყენებელ მიწის ნაკვეთებს ეხება * სახელმწიფო მხარდაჭერა * მორწყვის შემთხვევაში უხვი მოსავალი * საკვები პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები * სოფლის განვითარების პროგრამები * ადამიანური რესურსი * სასმელი წყლის რესურსი * მდინარის წყლის გამოყენება სარწყავად * თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან	საფრთხეები: * გვალვები (შედევებს ამძიმებს საირიგაციო სისტემის არარსებობა) * ორივე მდინარეზე (და მაწიმის ხეობაში) ნაპირდამცავი ნაგებობების არარსებობა, რის გამოც მუდმივად ზიანდება სასოფლო-სამეურნეო მიწები * ნაპირდამცავი ზონების არარსებობა * ბუნებრივი კატასტროფები: სეტყვა, ქარიშხალი, მდინარის ადიდება/წყალდიდობა/დატბორვა * არასტაბილური საბაზრო ფასები

პრობლემების გადაჭრის გზები

ვინაიდან სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემის არსებობა, საჭიროა მეტი კოორდინაცია მელიორაციის ადგილობრივ

სამსახურთან. კარგი მოსავლის მისაღებად მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემის სრული რეაბილიტაცია.

სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული შემდეგი პრობლემა რიგითი ფერმერებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობას უკავშირდება. ფერმერებს უნდა მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია და ტექნიკა (ტექნიკის მიწოდებასა და ხელმისაწვდომ ფასთან დაკავშირებით საჭიროა შეთანხმება შპს „მექანიზატორთან“).

საზოგადოდ, დღის წესრიგში უნდა დადგეს და დაიგეგმოს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (როგორიცაა სოფლის გზები, სოფლის მეურნეობის განვითარება, თესლის ხარისხის კონტროლი, დაბალპროცენტიანი სესხები, ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა) კომუნიკაცია სათანადო სახელმწიფო ორგანოებთან და სამინისტროებთან.

ფოკუს-ჯგუფებში მუშაობისას პრობლემების გადაჭრის გზად დასახელდა ასევე დაფინანსების მოძიება სოფლის მეურნეობის დარგში პროექტების განვითარებისათვის.

დასახელდა ასევე ფერმერთა კოოპერატივების, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების მძლავრი ინსტრუმენტის, ხელშეწყობის საკითხიც. არსებულ ფერმერთა კოოპერატივებთან საინფორმაციო შეხვედრები და მათი გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ახალი კოოპერატივების შექმნას.

ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
* ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა, საზოგადოების მხარდაჭერა და ენთუზიაზმი * მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი შესაძლებლობები, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებიდან გამომდინარე * ცენტრალური გზების არსებობა * მუშახელის რესურსი * გარე განათება ზოგიერთ სოფელში * ზოგიერთ სოფელში არსებობს სკოლა, საბავშვო ბაღები * სამკურნალო წყაროები * კულტურის ცენტრის შენობა * გაზმომარაგების სისტემის არსებობა (ზოგიერთ სოფელში), ცენტრალური წყალმომარაგება და ელექტრონერგია; ინტერნეტით ნაწილობრივი დაფარვა * ცენტრალური გზის მდებარეობა საბავშვო ბაღებისა და სკოლების მახლობლად * საავადმყოფოს არსებობა	* შეუსაბამობა ადგილობრივ საჭიროებებსა და ბიუჯეტს შორის * კომუნიკაციის ნაკლებობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან * სათანადოდ არ გამოიყენება წყლისა და მიწის რესურსი * სამოქალაქო აქტიურობის დაბალი დონე * ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე * დაზიანებული და დაბინძურებული საირიგაციო მილსადენები * ადგილობრივი გზების გაუმართაობა * განათლების არასაკმარისი დონე * ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები * ნარჩენების მართვა * სპორტული კლუბების, საბავშვო ბაღების, გზების, სადრენაჟე, წყალმომარაგების და გაზმომარაგების სისტემების არარსებობა, მოძველებული და უხარისხო ელექტროგადამცემი კაბელები * ზოგიერთ თემში სასაფლაოების არარსებობა * ინტერნეტის ხელმისაწვდომობის დაბალი დონე * ბავშვების ტრანსპორტირების პრობლემა * შეშის სიმწირე * კულტურის ცენტრების და ახალგაზრდებისათვის გასართობი კლუბების არარსებობა * სილამაზის სალონების არარსებობა * ქუჩების გაწმენდა წამოზრდილი ბუჩქნარისაგან * პარკების, ტროტუარების, სათამაშო მოედნების, დასასვენებელი-სარეკრეაციო ზონების არარსებობა * გზატკარუდინებზე შესაბამისი მანველებელი ნიშნების არარსებობა

შესაძლებლობები:	საფრთხეები:
* CARE საერთაშორისოს მხარდაჭერა * ბიზნესის მხრიდან მხარდაჭერა * ადამიანური, წყლის და მიწის რესურსები * მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდაჭერა * მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტები * ახალი შმენებლობები * ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში სარეაბილიტაციო სამუშაოების მეშვეობით * სასოფლო-სამეურნეო პროგრამების მეშვეობით ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის შესაძლებლობები * მცირე სტადიონის მოსაწყობად საჭირო ტერიტორიის არსებობა * საბავშვო ბაღის რემონტი * ტენდერი ახალი ტექნიკა-აღჭურვილობის, ნაგავმზიდების შესაძენად, სურსათის გადამამუშავებელი (საკონსერვო) ქარხნების აღდგენა * კომუნიკაცია სოკარის ოფისთან გაზმომარაგების სისტემასთან დაკავშირებით * კომუნიკაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან * კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია * ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ქუჩების დასუფთავებაში	* ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების არასათანადო ხარჯვა * პოლიტიკური არასტაბილურობა * ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა * არასკმარისი ფინანსური რესურსი * ანტისანიტარია * მარკეტში/ბაზარში/მაღაზიაში მისასვლელად ფეხით მოსიარულები გადადიან სამანქანო გზაზე და საფრთხეს უქმნიან საკუთარ სიცოცხლეს * პროცესების გაჭიანურება ბიუროკრატიისა და იურიდიული საკითხების გამო * ელექტროგადამცემი კაბელების განახლების პროცესის გაჭიანურება * ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო * დაბალი ხარისხის ელექტრომომარაგება, ელექტროგადამცემი ხაზები ძალიან დაბლაა ჩამოკიდებული და საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მცხოვრებლების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს * წყლისმიერი დაავადებების გავრცელება წყლის დაბალი ხარისხის გამო * სადრენაჟე სისტემა მწყობრიდან არის გამსული, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას * ტრაქტორები აზიანებენ ტროტუარებს /გზებს * ბუნებრივი კატასტროფები * ადგილობრივი მოსახლეობის გულგრილობა

პრობლემების გადაჭრის გზები

ადგილობრივი ელექტროგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით დაიწყება დიალოგი კახეთის ენერგოგამანაწილებელ კომპანიასთან.

გადაუდებელი საკითხების სიაში მოხვდა საგზაო შუქნიშნებისა და ვიდეოკონტროლის სისტემის დაყენება, რაც შესაბამისი ორგანოების მხრიდან მყისიერ ქმედებებს საჭიროებს.

ადგილობრივ ხელისუფლებასა და ბიზნეს სექტორთან დიალოგი და აქტიური კომუნიკაცია ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და დადებითი ცვლილებების მიღწევას (როგორცაა გაზომარაგება, ელექტროგადამცემი ხაზების და გზების განახლება, პარკებისა და სათამაშო მოედნების მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა, სადრენაჟე სისტემის გაწმენდა).

ტურიზმის სექტორი

ძლიერი მხარეები: * დაცული ტერიტორიები: ა) გურგენიანის ჩანჩქერის, მაჭის ციხის, როჭოს ჩანჩქერის, შავი ტბების მიმზიდველი მარშრუტები; ბ) ენდემური სახეობების არსებობა; გ) ისტორიული ძეგლები * სახელმწიფო საზღვართან სიახლოვე * ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების არსებობა * დიდი ბიომრავალფეროვნება * ეთნიკური მრავალფეროვნება * საკვების მრავალფეროვნება * ღვინის დაყენების ტრადიციული ფორმები	სუსტი მხარეები: * ტურისტული მარშრუტების მოუწესრიგებლობა * მდინარეებზე გადასასვლელი ხიდების ნაკლებობა * დანიშნულების ადგილის მიგნების პრობლემა (ქუჩებში საინფორმაციო ნიშნების და ბანერების არარსებობა) * ადგილობრივი სასტუმროები/საოჯახო სასტუმროები მსოფლიო რუკებზე არ არის დატანილი * მედია სივრცეში შესაბამისი რეკლამების ნაკლებობა * გასართობი ცენტრების არარსებობა * სამოქალაქო ცნობიერების დაბალი დონე * ნარჩენების არასათანადოდ მართვა (დაცული ტერიტორიების მიმდებარედ და გზების გასწვრივ) * ტურისტებთან კომუნიკაციის არასათანადო ხარისხი * ადგილობრივი მოსახლეობა და მომსახურების მიმწოდებლები არ ფლობენ უცხო ენებს * მომსახურების დაბალი ხარისხი (მარკეტინგი, და ა.შ.)
შესაძლებლობები * ტურიზმის სფეროს განვითარება: ა) სამთო საველოსიპედო ბილიკები, ტურისტულ მარშრუტებთან მიბმა, სათავგადასავლო ტურიზმის ინფრასტრუქტურის მოწყობა (მაგ., სკეიტბორდის და ველოსიპედის მარშრუტები) დაცული ტერიტორიების არეალში, ხეების ტურიზმისათვის მარშრუტების მოწყობა * გასართობი ადგილების მოწყობა * ღია ცის ქვეშ კაფეების მოწყობა	საფრთხეები: * ქალაქის ცენტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცარიელი მიწის ნაკვეთების არარსებობა * ყველა ცარიელი მიწის ნაკვეთი გაყიდულია და სათანადოდ არ გამოიყენება * ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობის დაკარგვა * დაცული ტერიტორიების არეალში არსებული სასტუმროს რეკონსტრუქცია, რამაც შესაძლოა

* დისკოთეკების მოწყობა * ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება * ქალაქ ლაგოდეხის ცენტრში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა	ხელი შეუწყოს სახელმწიფო მონოპოლიის ჩამოყალიბებას და საფრთხე შეუქმნას ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების ბიზნესს
---	--

პრობლემების გადაჭრის გზები

ტურიზმის სექტორში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- მდინარეებზე გადასასვლელი ტურისტული მარშრუტების/ბილიკების მოწყობა;
- სათავგადასავლო ტურიზმისათვის ბილიკების მოწყობა;
- მომსახურების სფეროში ჩართული პირებისათვის ტრენინგების ორგანიზება და საჯარო სკოლებში უცხო ენის გაკვეთილების ჩატარება;
- სკოლის მოსწავლეებისათვის გარემოს დაცვასთან, დასუფთავების კამპანიებთან დაკავშირებული კონკურსების გამოცხადება, ცნობიერების გაზრდა დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ, და სხვა.

დანართი #3

სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები 2017-18 წლებში შედგენილი სტრატეგიისთვის

ამოცანები	სტრატეგიული მიმართულებები	ღონისძიებები (პრობლემების პრიორიტეტულობის საბოლოო ვარიანტი მეორე დანართში მოცემული ქულების მიხედვით განისაზღვრა)
1. სოფლის მეურნეობისა და სატყეო სექტორების კონკურენტუნარიანობის გაზრდა	1.1 აგრარული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1.1.1 სასოფლო გზები 1.1.2 სარწყავი სისტემა 1.1.3 სათბურები 1.1.5 სასაწყობე ინფრასტრუქტურა 1.1.5 ელექტრომარაგება 1.1.6 სათევზე მეურნეობა
	1.2 სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და წარმოება-გასაღების ქსელის (ღირებულებათა ჯაჭვის) გაუმჯობესება	1.2.1 გადამამუშავებელი საწარმო 1.2.2 გაგვრცელების (დისტრიბუციის) ქსელი 1.2.3 ინფორმაცია/ცოდნა 1.2.4 პირუტყვის კვება
	1.3 კვლევების ხელმისაწვდომობა, უნარ-ჩვევების/შესაძლებლობების გაძლიერება და დამხმარე მომსახურება	1.3.1 თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიები 1.3.2 ბიო-ფერმერული მეურნეობა 1.3.3 პროგრამების შესახებ ინფორმირება 1.3.4 კოოპერატივები 1.3.5 საკონსულტაციო ცენტრი 1.3.6 მარკეტინგი & ბრენდირება
2. გარემოსა და სოფლის ტერიტორიების	2.1 გარემოსთვის საზიანო მეთოდების გამოყენების პრევენცია	2.1.1 ქარსაცავი ზონები 2.1.2 ტყის დაცვა 2.1.3 რეგულაციები

მდგომარეობის გაუმჯობესება	2.2 გარემოზე ზემოქმედების მართვა	2.2.1 ნარჩენების მართვა 2.2.2 წყალდიდობების მართვა 2.2.3 მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნვა
	2.3 გარემოს დაცვის საკითხების შესახებ განათლება და ცნობიერების ამაღლება	2.3.1 საზოგადოების ცნობიერების გაზრდა 2.3.2 გარემოს დაცვა 2.3.3 განათლება
3. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება სოფლად და სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა	3.1 სოციალური უზრუნველყოფისა და თანასწორუფლებიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა	3.1.1 ახალგაზრდობა და გენდერი 3.1.2 განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მხარდაჭერა 3.1.3 ჯანდაცვა 3.1.4 განათლება
	3.2 ტურისტებისათვის ტერიტორიის მიმზიდველობის გაუმჯობესება	3.2.1 ტურისტული ინფრასტრუქტურა 3.2.2 უცხო ენები 3.2.3 მომსახურების მართვა 3.2.4 პოპულარიზაცია
	3.3 საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	3.3.1 სასმელი წყალმომარაგება 3.3.2 სადრენაჟე სისტემა 3.3.3 ტროტუარები 3.3.4 გაზმომარაგების სისტემა 3.3.5 ელექტრომომარაგების გაუმჯობესებული ხარისხი
4. LEADER მიდგომის დანერგვის ხელშეწყობა და LAG-ის როლის გაზრდა	4.1 LAG-ის, როგორც ადგილობრივ განვითარებაში სათანადო როლის მქონე ერთეულის, გაძლიერება	4.1.1 LAG-ი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია 4.1.2 ადგილობრივ დონეზე დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერება
	4.2 სტრატეგიული სექტორებისათვის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა	4.2.1 დარგის განვითარებისადმი სტრატეგიული მიდგომა
	4.3 ადგილობრივი და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის პროექტების განხორციელება	4.3.1 თანამშრომლობა (ზოგადად)

**საგრანტო კომპონენტი- სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში
განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი ლაგოდების
მუნიციპალიტეტში**

ENPARD I						
	დასახელება/ განმცხადებელი	იურიდი იული ფორმა	ინიცი ატორ ი (ქალი /კაცი)	სექტორი	ინვესტიციის ტიპი	ადგილმდებარ ეობა
1	ვასილ აფციაური	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	ვარდის სათბური	ლაგოდები
2	გიორგი დარეჯანაშვილი	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	მარწყვის სათბური	ნინიგორი
3	ბიო მეურნეობა ფონა	შპს	კაცი	სოფლის მეურნეობა	ჩირის წარმოება	ფონა
4	გიორგი ბაკაშვილი	ინდ. მეწარმე	კაცი	ტურიზმი	სათევზაო მეურნეობასთან ხის ების მოწყობა	ჰერეთისკარი
5	საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური /ჯანდაცვა	ცნობიერების ამაღლება ნაადრევი ქორწინებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ	ლაგოდები
6	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	ლაგოდ ების მუნიციპ ალიტეტ ი	ქალი	სოციალური	საბავშვო ბაღის ახალი ინვენტარით აღჭურვა	ლაგოდები
7	ლაგოდების დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია	ა.ა.ი.პ	კაცი	გარემოს დაცვა	დენდროლოგიური პარკის კონსერვაცია	ლაგოდები
8	ჭიაური 2016	ა.ა.ი.პ / ლაგოდ ების მუნიციპ ალიტეტ ი	ქალი	სოციალური /ინფრასტრ უქტურა	სათემო ცენტრის მოწყობა	ჭიაური

9	ჰერეთი 2016	შპს	კაცი	ტურიზმი	კაფე-ტერასის და ღია ფანჯატურის მოწყობა	ლაგოდები
10	მამუკა სიუკაშვილი	ინდ. მეწარმე	კაცი	სერვისები	ავტომატქანების სერვის-ცენტრი	ლაგოდები
11	ლაკუასტი	შპს	კაცი	საოფლის მეურნეობა/ ინფრასტრუქტურა	ელ. ენერგიის გადამცემი ხაზების მოწყობა ფერმებისთვის	შრომა
12	გია კუბლაშვილი	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	სარწყავი სისტემის მოწყობა ხურმის ბაღისთვის	არემფერანი
13	გოდერძი შუბითიძე	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	სარწყავი სისტემის მოწყობა სანერგე მეურნეობისთვის	მშვიდლობიანი
14	პაპუნა ლობჯანიძე	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	მეფუტკრეობის განვითარება	რაჭისუბანი, მაწიმი
15	მადლი	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური	ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი შშმ ბავშვებისთვის	ლაგოდები
16	საინიციატივო ჯგუფი და ლაგოდების მუნიციპალიტეტი	ა.ა.ი.პ / ლაგოდების მუნიციპალიტეტი	კაცი	ახალგაზრდობა/სოციალური	ღია ფიტნეს მოედნის მოწყობა	ლაგოდები
17	საინიციატივო ჯგუფი და ლაგოდების მუნიციპალიტეტი	ა.ა.ი.პ / ლაგოდების მუნიციპალიტეტი	ქალი	სოციალური /ინფრასტრუქტურა	სანიაღვრე არხის მოწყობა	სვიდება
18	საინიციატივო ჯგუფი და ლაგოდების მუნიციპალიტეტი	ა.ა.ი.პ / ლაგოდების მუნიციპალიტეტი	ქალი	სოციალური /ინფრასტრუქტურა	კულტურის სახლის რეაბილიტაცია	გიორგეთი
19	სათემო კავშირი ვარდისუბანი	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური	სამკერვალო სახელოსნო და კერვის შემსწავლელი კურსი	ვარდისუბანი
20	საინიციატივო ჯგუფი და ლაგოდების მუნიციპალიტეტი	ა.ა.ი.პ / ლაგოდების მუნიციპალიტეტი	კაცი	სოციალური /ტურიზმი	ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	ლაგოდები

21	საინიციატივო ჯგუფი და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	ა.ა.ი.პ / ლაგოდ ეხის მუნიციპ ალიტეტ ი	კაცი	ახალგაზრდ ობა/სოციალ ური	მუსიკალური სტუდია და ინსტრუმენტები	ლაგოდეხი
22	ქორნი	შპს	ქალი	სოფლის მეურნეობა / ინფრასტრუ ქტურა	ელ. ენერგიის გადამცემი ხაზების მოწყობა ფერმებისთვის, ცენტალურ ქსელზე მიერთება	შრომა
23	ირა ჯიყაშვილი	ინდ. მეწარმე	ქალი	ტურიზმი	ტურისტული კოტეჯის და ავტომანქანების პარკინგის მოწყობა	მაწიმი
24	საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტი აფხაზეთი	ა.ა.ი.პ	კაცი	სოციალური	კიტრის სათბურის მოწყობა სოც, სახლისთვის	ზაისუბანი
25	მარინა ბუაძე	ინდ. მეწარმე	ქალი	სოფლის მეურნეობა	ენერგოეფექტური სათბურის მოწყობა	ლაგოდეხი
26	თენგის ბერიძე	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	ინოვაციური სათბურის მოწყობა	ჰერეთისკარი
27	საინიციატივო ჯგუფი "ლექსო და მეგობრები" და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	ა.ა.ი.პ / ლაგოდ ეხის მუნიციპ ალიტეტ ი	კაცი	სოციალური /ინფრასტრ უქტურა	კულტურის სახლის რეაბილიტაცია	ლელიანი
28	სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი	ა.ა.ი.პ / ლაგოდ ეხის მუნიციპ ალიტეტ ი	კაცი	სოციალური /ინფრასტრ უქტურა	ფიტნეს ოთახის მოწყობა და აღჭურვა	ლაგოდეხი
29	დევნითა კეთილდღეობისთ ვის	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური	სამკერვალო სახელოსნოს მოწყობა	ლაგოდეხი
30	გივი ხელაშვილი	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	რძის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და აღჭურვა	ლაგოდეხი
31	ჩელტა	შპს	კაცი	სოფლის მეურნეობა	სამაცივრე მეურნეობის მოწყობა	დავითიანი
ENPARD II						
1	დღის ცენტრი "მადლი"	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური	შ.შ. მქონე პირთა სამედიცინო რეაბილიტაციისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა	ლაგოდეხი

2	საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (საგა)	ა.ა.ი.პ	ქალი	ახალგაზრდ ობა/სოციალ ური	ახალგაზრდების პრობლემატიკის კვლევა და ახალგაზრდული ჯგუფების ჩართულობით პრობლემათა გადაჭრის ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, ასევე მისი განხორციელების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ჯგუფების შექმნა	ლაგოდები
3	ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური /საგანმანათ ლებლო	„პოზიტიური მშობლობა“ - საგანმანათლებლო აქტივობები	ლელიანი
4	სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანება	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური /საგანმანათ ლებლო	სამუსიკო სკოლის მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვა	ლაგოდები
5	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	ა.ა.ი.პ	ქალი	სოციალური /საგანმანათ ლებლო	საბავშვო ბათის აღჭურვა	ლელიანი
6	ელიზბარ კუბლაშვილი	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	სამაცივრე მეურნეობის მოწყობა	აფენი
7	ნინო გელაშვილი	ინდ. მეწარმე	ქალი	სოფლის მეურნეობა	საწიწილე მეურნეობის მოწყობა	ჭიაური
8	ემინ	შპს	ქალი	სერვისები	ავტომატქანების სერვის- ცენტრის აღჭურვა	კაბალი
9	ლაგოდების მუნიციპალიტეტი ს მერია	ლაგოდ ების მუნიციპ ალიტეტი	ქალი	სოციალური	სოციალური სახლის რეაბილიტაცია	ლაგოდები
10	დავიცვათ გარემო კვლავწარმოებით	შპს	კაცი	გარემოს დაცვა	მეორადი პოლიეთილენის გადამუშავება და კვლავწარმოება	თელა
11	ზურაბ მუმლაძე	ინდ. მეწარმე	კაცი	ტურიზმი	ტურისტული კომპლექსი "შატო ყირამალა"	მაწიმი
12	მარიამი ქადაგიძე	ინდ. მეწარმე	ქალი	ტურიზმი	საოჯახო სასტუმრო	ლაგოდები
13	ნიკა ბახტაძე	ინდ. მეწარმე	კაცი	სოფლის მეურნეობა	სარწყავი სისტემის მოწყობა თხილის ბაღისთვის	დავითიანი
14	თემუტ ტეფნაძე	ინდ. მეწარმე	კაცი	ტურიზმი/ს ოფლის მეურნეობა	კაფე "გალილეო"	ლაგოდები

17	ზურაბ გოგოლაძე -	ინდ. მეწარმე	კაცი	სერვისი	სამშენებლო ბლოკის წარმოება	აფენი
18	"იუსტუდიო"	შპს		ტურიზმი/სოფლის მეურნეობა	სასტუმრო "დუნდეს" სერვის ცენტრის მოწყობა	ხიზა
19	"ჰერეთი"	შპს		სოფლის მეურნეობა	ღვინის მარნის მოწყობა	ლაგოდეხი
20	ბესიკ ჯაჯანიძე	ინდ. მეწარმე		სოფლის მეურნეობა	სამაცივრე მეურნეობის მოწყობა	ლელიანი
21	"მეგობრები"	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი		სოფლის მეურნეობა	სამაცივრე მეურნეობის მოწყობა	ჰერეთისკარი
22	ბექსტონ გურჩიანი	ინდ. მეწარმე		სოფლის მეურნეობა	სამაცივრე მეურნეობის მოწყობა	ფონა
23	შოთა ერიაშვილი	ინდ. მეწარმე		სოფლის მეურნეობა	ბატატის სასათბურე მეურნეობა	ლაგოდეხი
24	ვლიდიმერ იქიტიძე -	ინდ. მეწარმე		სოფლის მეურნეობა	სადიაგნოსტიკო აპარატურა და მანქანა ვეტერინარული მომსახურეობისათვის	უზუნთალა
25	"ანიზანი" -	ააიპი		სოციალური /საგანმანათლებლო	სახელოვნებო და საგანმანათლებლო კურსები ქალებისთვის	შრომა
26	"ახალგარდული ჩართულობის ცენტრი -	ააიპი		სოციალური/ტურიზმი	აღმოაჩინე ლაგოდეხი	ლაგოდეხი
27	"შესაძლებლობები ს სივრცე -	ააიპი		სოციალური /საგანმანათლებლო	სოციალური კინო "ოჩო კემპი"	ლაგოდეხი
28	"ჰერეთი 2019" -	ააიპი		სოციალური /კულტურული	საცეკვაო ფორმები და აღჭურვილობა ფოლკლორული ანსამბლისთვის	ლაგოდეხი
29	ლალი გრიგალაშვილი -	ინდ. მეწარმე		ტურიზმი	ხის კოტეჯების მოწყობა	ლაგოდეხი
30	ბადრი გოლობიანი	ინდ. მეწარმე		სერვისი	სტომატოლოგიური კაბინეტის აღჭურვა	ვარდისუბანი
31	"ჰერეთული" -	შპს		სოფლის მეურნეობა	რძის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა	კავშირი
32	გიორგი კობერიძე	ინდ. მეწარმე		ტურიზმი/გარემოს დაცვა	ენერგოეფექტური საოჯახო სასტუმრო და მარანი ლაგოდეხში	ლაგოდეხი

33	ეპიგრა	შპს		ტურიზმი	პოსტელის მოწყობა ლაგოდეხში	ლაგოდეხი
----	--------	-----	--	---------	-------------------------------	----------